# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 12 ოქტომბერი, 2010 წელი.

№190 (6556)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




## საიკაშვილის მმართველობა ექვს თვეში დასრულდება?!.

იმპიჩმენტის დაწყების პროცესს პოლიტიკოსები ართულებენ ②

## თბილისი ვაშინგტონიდან გაფრთხილებებს იღებს?



③ ვზავნილები ამერიკიდან

## „თბილისი-ბორჯომის“ მატარებელს ევროკავშირის არც ერთი სადგური არ მიიღებს!..

④



## მანდატურები თუ პოლიტიკური პოლიცია სკოლაში?

⑥

## „საიკაშვილი ბუნტზე იწვევს“ საზოგადოებას

⑧



## ომის თორმეტი მონაწილე ვეტერანის სტატუსს ამ დრომდე ითხოვს

⑥

## „უსერტიფიკატო სასიქოეები“

②



ღმერთო, დიპლომს არ დავეძებ, ინგლისურის მცოდნე სიძე შემახვედრე.




## მრავალძარღვის დადება თუ ⑤ შეიძლება ურეცეპტოდ, ზიზია მინისტრო?

**ოპოზიცია**

# სააკაშვილის მმართველობა ექვს თვეში დასრულდება?!.

## იმპიჩმენტის დაწყების პროცესს პოლიტიკოსები ართულებენ

***პრეზიდენტისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცესი გრძელდება. კონსტიტუციაზე, საარჩევნო კანონმდებლობაზე შესატანი ცვლილებების შესახებ კონსულტაციები ხელისუფლებასთან აქტიურად მიმდინარეობს, მაგრამ ეს სრულებითაც არ გამორიცხავს პრეზიდენტის მიმართ უნდობლობას. პროცესი, რომელიც სექტემბერში დაიწყო და 17 პოლიტიკურმა პარტიამ მისაღებად მიიჩნია, ოქტომბერშიც უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ეროვნულმა კრებამ ოპოზიციურ ერთობაში თავისებური წყალგამყოფი შეიტანა.***



გუშინ „თავისუფალი აზრის სახლში“ გამართულ შეხვედრაზე მრგვალ მაგიდასთან მხოლოდ რამდენიმე პარტია იჯდა. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს ამჯერად მხოლოდ პრეზიდენტის უნდობლობის გამოცხადების დამფუძნებელი კონფერენციის საკითხები უნდა განეხილათ და კონფერენციის საბჭოს დაკომპლექტებაზე ეზრუნათ, მაგრამ ვინაიდან ყველა არ ესწრებოდა, საუბრები შედარებით გულახდილ რეჟიმში წარიმართა, რომელიც „თეთრების“ ლიდერს თემურ შაშიაშვილს მიჰყავდა. კონსერვატორები, ხალხის პარტია, ქალთა პარტია, ჩემი საქართველო, სახალხო პარტია – ისეთივე პოზიციას გამოხატავდნენ, რასაც თეთრების ლიდერი. თემურ შაშიაშვილი ამბობს, რომ პროცესი არავითარ შემთხვევაში ექვს თვეზე მეტხანს არ უნდა გაგრძელდეს: **„რახან ხელისუფლება მართავს პროცესებს, ჩვენ ვამბობდით, რომ ამის ალტერნატივა უნდა ყოფილიყო „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“. ასეც მოხდა და ის სამართლებრივ შეფასებებს აძლევს ხელისუფლების ქმედებებს. ამის პარალელურად უნდა მოხდეს ამ ქმედებების პოლიტიკური შეფასება, რასაც გულისხმობს სწორედ უნდობლობა. მაგრამ ეს არ უნდა იყოს უბრალო ხელმოწერები, ვთქვათ თუნდაც 300 ათასის, რომელიც თავისთავად იძლევა რეფერენდუმის ჩატარების წინაპირობას. ჩვენი სურვილია, რომ ის, ვინც ხელს მოაწერს, უნდა გაემიჯნოს ხელისუფლებას. პარტია, რომელიც ერთხელ დაადასტურებს, რომ მმართველ გუნდს გაემიჯნა, ის საკონსულტაციოდ მასთან ვერ დაჯდება. ამის პარალელურად მზადდება სერიოზული დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილი და გაანალიზებულია 7-8 საკითხი, თუ რა დაგვმართა ხელისუფლებამ, მათი დანაშაულობების (ადამიანის უფლებების დარღვევა, განათლება, მედიცინა, და ა. შ.) და შევიტანთ სარჩელს საერთაშორისო სასამართლოში.**

თემურ შაშიაშვილმა გვერდი ვერ აუარა წარმომადგენლობითი კრების მუშაობის აუცილებლობას: „კრებას 42 წარმომადგენელი ჰყავს საზღვარგარეთ. ეს წარმომადგენლები შეიკრიბებიან ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, გამოხატავენ ხალხის პოზიციას და პოლიტიკურ შეფასებას დადებენ. დოკუმენტი ითარგმნება რამდენიმე ენაზე. ყველა სახელმწიფო მეთაურს დაეგზავნება და შეხვედრას ითხოვენ. თანხმობის შემთხვევაში მასთან შესახვედრად წავა ორი ან სამი წარმომადგენელი – ეს არ იქნება პოლიტიკური პარტიის ლიდერი, არამედ საზოგადო მოღვაწე. აი, რისთვის გვჭირდებიან ჩვენ რობერტ სტურუა, მაია ჩიბურდანიძე, გიგა ლორთქიფანიძე და სხვები.

ერთ-ერთ შეხვედრაზე უცხოელმა დიპლომატმა მითხრა, გარედან არ ჩანს, რომ ქართველ ხალხს სააკაშვილი არ უნდაო. ამიტომ არის აუცილებელი, რომ ავტორიტეტული ადამიანები შეხვდნენ ამა თუ იმ ქვეყნის პირველ პირებს და აუხსნან, რეალურად რა დღეშია ქვეყანა. ოპოზიციური პარტიის ლიდერები, პრობლემებზე რომ ვსაუბრობთ, რევანშისტები ვგონივართ“.

„თეთრების“ ლიდერი ამბობს, რომ სანამ „ოპოზიციონერი დესპანები“ ქვეყნის გარეთ შემოჰკრავენ განგაშის ზარს, ქვეყნის შიგნით პარალელურად დაუმორჩილებლობა უნდა დაიწყოს. „სააკაშვილს დემოკრატიული პროცესები აშინებს, თორემ მას ძალით ვერავინ შეაშინებს“, – დასძენს შაშიაშვილი.

სამწუხაროდ, ბრძოლის ყველა გზა მაინც იმ საყოველთაო ოპოზიციურ ერთობაზე გადის, რომლის მიღწევა ჩვენს ქვეყანაში რთულია. გუშინდელი დღე, ეს იყო ერთგვარი ფილტრაცია, სადაც მკაფიოდ გამოჩნდნენ რადიკალები და კონსტრუქციულები. მართალი გითხრათ, ვერ მივხვდი კონსერვატორებისა და ხალხის პარტიის წარმომადგენელთა პოზიციას. ისინი აქაც არიან და იქაც, მაგრამ როცა საქმე წარმომადგენლობით ეროვნულ კრებამდე მივა, სადაც ნინო ბურჯანაძეც დგას, რა პოზიციას დაიკავებენ, საინტერესოა.

პრეზიდენტის უნდობლობის გამოცხადების პროცესის დამფუძნებელი კონფერენციის შემდეგი სხდომა, სავარაუდოდ, 22 ოქტომბერს ჩატარდება, სადაც აუცილებელი მოთხოვნაა პარტიის ლიდერთა დასწრება.

„ჩვიდმეტი პარტიის ერთობა ვერ შედგება, ძალიან რთულია, – განაცხადა შეხვედრაზე მამუკა გიორგაძემ, – ამიტომ პროცესის მართვის სადავეები უმჯობესია ორმა ან სამმა პარტიამ აიღოს, ისეთმა, რომელიც ნაციონალებთან კონსულტაციებზე სირბილს არ დაიწყებს. ტირანს თუ უწოდებ ხელისუფლებას, მას რა საარჩევნო გარემოს შეცვლაზე ელაპარაკები, ან მოღალატეს თუ ეძახი, უშიშროების სხდომაზე რაღა გესაქმება“? – დასძინა მან.

ამის მიუხედავად პარტიათა მიერ მიღებულ ერთობლივ შეთანხმებაში, გამოკვეთილი დიდი ასოებით შემდეგი მოწოდება წერია: „პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობის და ერთმანეთისადმი ჩვენი დამოკიდებულების მიუხედავად, შევიკრიბოთ და ერთად დავიწყოთ ის, რისი დაწყების აუცილებლობაზე ცალცალკე ყველანი ვსაუბრობთ!“

**როგორც აღვნიშნეთ, შაშიაშვილის მტკიცებით, სააკაშვილის მმართველობის დღეები მხოლოდ ექვს თვეს ითვლის. თუ პარტიებს ამისა მართლაც სჯერათ, ბოლოს და ბოლოს 180 დღე წყალში ჩადგება ადამიანი და პოლიტიკურ თანხმობას წინ რაღა უდგას?!**

**თეა მოსია**

**ენგლანდაცია დაჩქარებულად**

**ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება, აქტიურად „ილვწის“ მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს ინტეგრაციისთვის და სრულ ძალისხმევას წარმართავს იმისაკენ, რომ საქართველოს მოსახლეობას ჰქონდეს საშუალება იორკშირულაქცენტიანი შეძახილით მოაბრუნოს თავისი ჯგუფის დასაწევად გაქცეული რომელიმე გზააბნეული ტურისტი.**

ამ უაღრესად საშურ საქმეში მართლაც, რომ გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა.

ჯერ ტელევიზიებში დაიწყეს ტიტრებიანი ფილმების ჩვენება, შემდეგ 10 000 ინგლისურენოვანი „პედაგოგიური დესანტი“ ჩამოვიდა. ამ ყველაფერს ე.წ. „საკონტროლო გასროლად“ ისიც დაემატა, რომ ინგლისურის უცოდინარი ადამიანი, თუნდაც თავის სფეროში „აინშტაინი“ იყოს, ვერაფრით ვერ იშოვის სამუშაოს.

მიუხედავად ხელისუფლების ასეთი ძალისხმევისა, საქართველოს „ენგლანდაციის“ პროცესი მაინც ვერ მიმდინარეობს ისეთი ტემპებით, როგორსაც გიგა ბოკერია, ჯონ ბასი, ან თუნდაც „თავისუფლების ინსტიტუტი“ ისურვებდნენ. ეგ კი არა, და ამ „რეფორმის“ სიჩქარე, სააკაშვილის სიჩქარესთან ახლოსაც ვერ მოვა.

# „უსერტიფიკატო სასიძოები“

გადავწყვიტე ჩემი წვლილიც შემეტანა ამ უდიდეს გამოწვევაში და ერთი საინტერესო ინიციატივა შემეთავაზებინა ხელისუფლებისათვის.

არ დაგიმალავთ და იდეა დღევანდელ ქართულ შოუ-ბიზნესში დამკვიდრებულმა სხვადასხვა სახის „რიმეიქების“ კეთებამ მომაწოდა (როგორც ნათქვამია, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“-ძ.

„რიმეიქების“ კეთებას, თავისი ობიექტური მიზეზი გააჩნია. „ხელოვნების“ ეს „სტილი“ ძირითადად იმის „დამსახურებაა“, რომ იმ ხალხის უმრავლესობა, ვინც ქართულ შოუ-ბიზნესში „მოღვაწეობს“, რბილად რომ ვთქვა, ვერ გამოირჩევიან თავიანთი დიდი ნიჭით და უნარით. ამიტომ „რიმეიქი“, იოლად „გამოძრომისა“ და „სახის ცნობადობის“ შექმნა-შენარჩუნების ყველაზე მარტივი გზაა. მაგრამ ამაზე სხვა დროს. ახლა კი საქართველოს ინგლისურიზაციას მივხედოთ.

ბევრ მიკიბვ-მოკიბვას არ დავიწყებ და პირდაპირ გეტყვით, რომ გადავწყვიტე „უდიპლომო სასიძო“ გადავაკეთო.

აბა წარმოიდგინეთ სიუჟეტის განვითარების თანამედროვე ვარიანტი:

– ნანის და ბიჭიკოს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ ბიჭიკომ ინგლისური არ იცის. ამიტომ ვარდენი მათი დაქორწინების სასტიკი წინააღმდეგია.

ფერმის გამგე ნიკოლოზი საუბრობს ინგლისურად, მაგრამ აქცენტით და გრამატიკაშიც მოიკოჭლებს, სამაგიეროდ ექიმი „სხლავს“.

„თავისუფლების ინსტიტუტის“ ადგილობრივი უჯრედის ხელმძღვანელი და სოფლის გამგებელი, ყველანაირად ცდილობენ დაარწმუნონ ბიჭიკო, რომ იმ საპასუხისმგებლო საქმეში, როგორც მეველეობაა, ინგლისურის ცოდნა აუცილებელია, მაგრამ ბიჭიკოს ჩამორჩენილ და მსოფლიო ცივილიზაციასთან არაინტეგრირებულ თავში არაფერი არ შედის.

ნანიც დაბნეულია. არ იცის როგორ მოიქცეს. ბიჭიკოც უყვარს, მაგრამ საერთაშორისო გამოწვევები თავისას მოითხოვს.

ბიჭიკო გადაწყვეტს წინა ხელისუფლების დროინდელი მეთოდით იმოქმედოს და ნანი მოიტაცოს.

საბოლოოდ ბიჭიკო მიხვდება, რომ ინგლისურის ცოდნა აუცილებელია. გამართავს ბრიფინგს, სადაც პირობას დადებს, საკუთარ ოჯახში მიიღოს იმ 10 000 „პედაგოგიდან“ ერთ-ერთი.

ბიჭიკოს გადაწყვეტილებას ფართოდ გააშუქებენ „კურიერში“, „ქრონიკაში“ და ჟურნალ „ტაბულაში“. ყველანი ბედნიერნი არიან. გადაიხდიან გრანდიოზულ ქორწილს, სადაც თამადა კოქტეილ „სისხლიანი მერით“ შესვამს „ნატოს“, ევროკავშირისა და ახალგაზრდების სადღეგრძელოს და ბიგ-მაკს დააყოლებს.

ფილმის მსვლელობის დროს შესაძლებელია ისეთი ნიუანსების წარმოჩენა, როგორიცაა ფერმის გამგე ნიკოლოზის მიერ ღორების გაზრდის პროცესში ინტერნეტიდან გადმოქაჩული დასავლური გამოცდილების დანერგვა, ქორწილის დროს, სოფლის საერთაშორისო აეროდრომზე პრეზიდენტისა და მხარის რწმუნებულის ჩამოფრენა და ბიჭიკოს რაიმე ორდენით დაჯილდოება, მაგრამ ესენი ტექნიკური დეტალებია და მუშაობის პროცესში უფრო დაიხვეწება.

როგორია? ხომ მოგეწონათ?

კარგით, ამ მართლაც და მეტად მწარე ხუმრობას შევეშვათ და სერიოზულად შევხედოთ იმ პრობლემას, რომელიც ერთის შეხედვით არ ჩანს, მაგრამ დროთა განმავლობაში უეჭველად იჩენს თავს.

პრინციპში იმაზე მეტი რა უნდა ვთქვა, რაც ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა თავისი ქადაგების დროს: „ქართველები თავიანთ შვილებს, მცირეწლოვანებს აგზავნიან უცხოეთში სასწავლებლად. სანამ ადამიანი სულიერად, კულტურულად ვერ ჩამოყალიბებულა, მიდის სრულიად სხვა ქვეყანაში. ხშირად ამას ზიანი მოაქვს გავშვისთვის“.

საქართველოს ეკლესიის მეთაურის ქადაგებას, მაშინვე გამოეხმაურა BBC და მის ინტერნეტსაიტზე დაიდო ტექსტის კრიტიკა.

ავტორს საქართველოს „გადასავლურების“ და ამ პროცესის დადებითი კუთხიდან წარმოჩენის მაგალითად მოჰყავს ჰოლანდიის ვებსტერის უნივერსიტეტის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტის ანა ჭიჭინაძის სიტყვები: „ცოდნა – ეს ერთადერთი შენაძენი როდია იმ ერთი წლის განმავლობაში, რომელიც ჰოლანდიაში გავატარე. შემეცვალა დამოკიდებულება როგორც ცხოვრების, ისე რელიგიისადმი. აქ ხალხი ცდილობს იყოს ლიბერალური, იყოს უფრო მომთმენი და თავისუფალი აზროვნებაში“.

მაპატიონ ანა ჭიჭინაძემ და იმ წერილის ავტორმა, მაგრამ ყველასთვის კარგადაა ცნობილი, თუ ცხოვრების როგორ წესს გულისხმობს ლიბერალულობა და აზროვნების თავისუფლება. თანაც ჰოლანდიაში, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ორიენტაციის ადამიანებისთვის პირდაპირ „მიწიერ სამოთხეს“ რომ წარმოადგენს.

ასე რომ, აზროვნებაშეცვლილი მაგისტრანტის მაგალითმა, მაინცადამაინც ვერ გაამართლა.

სამწუხაროდ, არ შემიძლია არ დავეთანხმო ტექსტის იმ ნაწილს, სადაც წერია, რომ „ექსპერტების სიტყვებით, პატრიარქის განცხადებამ, რომელიც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნდობით სარგებლობს, ძნელად რომ შეასუსტოს მისწრაფება დასავლური განათლებისკენ, რასაც ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი, წარმატებული კარიერის საფუძვლად მიიჩნევს“.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებების ფონზე, ეს მართლაც ასეა, მაგრამ არა მხოლოდ წარმატებული კარიერის გაკეთებისთვის საჭირო ცოდნის დასაუფლებლად აგზავნიან თავიანთ შვილებს საზღვარგარეთ მშობლები. ზოგიერთი აქაურ გარემოს არიდებს, ზოგი „მარიაჟობს“.

ყველაზე ვერ ვილაპარაკებ და არც მაქვს უფლება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არც გუშინდელი და არც დღევანდელი პოლიტელიტა, მიუხედავად თავიანთი „მორწმუნე“ სახეებისა თუ განცხადებებისა, არ იტყვის უარს „კუთვნილი შეღავათების“ დროს, საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ შვილებთან ჩაფრენაზე (ისე, რა მაგის პასუხია და ერთ-ერთი „ოპოზიციური ლიდერი“, თავის დროზე თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილს იმიტომ დაუპირისპირდა, რომ მან მისი შვილის ჯარში წაყვანა დააპირა. სხვებზე ვერაფერს გეტყვით. ალბათ, მათ ეს საქმე, „ტელევიზიების“ გარეშე „მოაგვარეს“-ძ.

არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ როგორ ხვდებიან არათანაბარ პირობებში განათლების სისტემის რეფორმაში შემოტანილი ინოვაციების გამო ქართველი ახალგაზრდები.

არ ვილაპარაკებ, რადგანაც ყველამ კარგად იცის, რომ საიდანღაც ჩამოსული, „ეგზოტიკური განცდების მოყვარული“ ვითომ პედაგოგები, ვერაფრით ვერ ასწავლიან ისეთ ინგლისურს, როგორსაც „წარმატებული კარიერის გასაკეთებლად“ შექმნილი პირობები მოითხოვს.

ღმერთმა დამიფაროს, რომ ქართველი ბავშვების განათლების წინააღმდეგი ვიყო.

ღმერთმა დამიფაროს, რომ ვერ ვხედავდე იმ მოთხოვნებს, რასაც დღევანდელობა აყენებს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ პური მეპურემ უნდა გამოაცხოს და არა ვილაც მოხალისემ, თანაც მაშინ, როცა ნამდვილი მეპურეები უმუშევრად სხედან.

ხოლო იმ „ბიჭიკოებს“, რომლებსაც სასიმამროები უსერტიფიკატობის გამო დაიწუნებენ, ვეტყვი: ნუ გეშინიათ. ისეთი დიპლომები და სერტიფიკატები, როგორებითაც ჩვენი ხელისუფლების მაღალჩინოსნები იწონებენ თავს, „ვედრო მანეთად“ ყრია ევროპის „ბარახოლკებზე“.

**გია გაბრიჭიძე**

**პროტესტი**

# პრემიერ-მინისტრი ჩრდილავს ყველა სხვა უმაღლესი ორგანოს უფლებამოსილებას



**საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2010 წლის 20 ივლისს ინიცირებული კონსტიტუციის კანონპროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ დღემდე განკითხვის თემაა, არასაპარლამენტო, ეგრეთ წოდებული, შეურიგებელი პარტიებისთვის.**

გუშინ „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ლიდერმა ეკა ბესელიამ სპეციალური ბრიფინგი გამართა და ეს კანონპროექტი კიდევ ერთხელ გააკრიტიკა.

**ეკა ბესელია:** „კონსტიტუციის ამ მოდელზე ხმის მიცემა საკუთარი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებას ნიშნავს. ამას ადასტურებს რამდენიმე გარემოება. კონსტიტუციას ილებენ დაჩქარებული ტემპით, პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეთანხმების გარეშე, თვითნებურად და ძალის დემონსტრაციით.

საქართველოს პარლამენტმა მხედველობაში არ მიიღო არც ვენეციის კომისიის თხოვნა პროექტის განხილვების გადადების შესახებ. პროექტის საერთო-სახალხო განხილვა ამ პროცესისთვის არაოპტიმალურ დროს, აგვისტოში გაიმართა, რამაც ცაიტნოტში ჩააგდო სამოქალაქო საზოგადოება, გამოეთქვა და დაეცვა საკუთარი შეხედულება თითოეული მოსმენის დროს გამართული მსჯელობის შემდეგ. პროექტზე შეიზღუდა დისკუსიის სივრცე, კონსტიტუციური რეფორმისათვის მსჯელობა კი არახელსაყრელი გახდა“.

იხ. 11 გვ.

## გზავნილები ამერიკიდან

# თბილისი ვაშინგტონიდან გაფრთხილებებს იღებს?



**აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ საქართველოსადმი ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილები წამოვიდა, რომლებმაც ახლო მომავალში შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. უპირველეს ყოვლისა, კლინტონმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ შეახსენა ქართულ დელეგაციას და ზოგადად ქართულ პოლიტიკურ სპექტრსაც, რომ აშშ-ის და საქართველოს ურთიერთობები ეფუძნება „საერთო ინტერესებსა და გაზიარებულ ფასეულობებს“.**

თავისი პოლიტიკური დატვირთვით 6 ოქტომბერს გამართული აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის წლიური შემაჯამებელი სხდომა შეიძლება ითქვას ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. პრემიერ-მინისტრ გილაურის და აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის შეხვედრაზე და ერთობლივ ბრიფინგზეც საქართველოში შიდაპოლიტიკურ პროცესებს, ახალ კონსტიტუციასა და ხელისუფლების ახალი ბალანსის შექმნას იმაზე მეტი ყურადღება დაეთმო, ვიდრე ჩვენმა მოსახლეობამ გაიგო ნაციონალური ტელეარხებიდან. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ოპოზიციური ტელეარხებიც სცოდავდნენ.

აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ საქართველოსადმი ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილები წამოვიდა, რომლებმაც ახლო მომავალში შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

უპირველეს ყოვლისა, კლინტონმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ შეახსენა ქართულ დელეგაციას და ზოგადად ქართულ პოლიტიკურ სპექტრსაც, რომ აშშ-ის და საქართველოს ურთიერთობები ეფუძნება „საერთო ინტერესებსა და გაზიარებულ ფასეულობებს.“ შესაბამისად ამ ინტერესებისგან და ფასეულობებისგან გადახვევა ორმხრივ ურთიერთობებს დააზიანებს.

სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა დღემდე იმიტომ სარგებლობენ ვაშინგტონის მხარდაჭერით, რომ სხვა პოლიტიკური ძალების ფონზე სწორედ მათში ხედავენ ამერიკელები მათი ინტერესებისა და ფასეულობების შედარებით უკეთეს დამცველებს. თუმცა ეს დამოკიდებულება შეიძლება გადაიხედოს.

კლინტონმა მკაფიოდ აგრძნობინა ქართულ დელეგაციას, „რომ თავისუფალი არჩევნები, ძლიერი ინსტიტუტები და ქმედითი სამოქალაქო საზოგადოება ნებისმიერი მთავრობის ლეგიტიმურობისა და ხანგრძლივი სტაბილურობის წინაპირობაა.“ ეს კი დიპლომატიური, მაგრამ საკმაოდ ღია მინიშნებაა იმაზე, რომ სააკაშვილის ხელისუფლება დაკარგავს ლეგიტიმურობას და მისი სტაბილურობა შეირყევა, თუ ქვეყანაში თავისუფალი არჩევნები არ ჩატარდა. ამას ადასტურებს კლინტონის მომდევნო ფრაზაც, სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა თუ „ჯერ კიდევ რაოდენ ბევრი სამუშაო აქვს წინ“ ხელისუფლებას, რომ უზრუნველყოს სამართლიანი პოლიტიკური კონკურენცია, პარტიების მიერ თანხების მოზიდვა და ანგარიშვალდებულება, მათ შორის მაისში ადგილობრივ არჩევნებზე შესაძლო დარღვევების გამოძიება.

თუმცა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და შესაძლოა ბევრისთვის მოულოდნელიც იყო აშშ-ის ადმინისტრაციის ხისტი პოზიცია 2012 და 2013 წლების არჩევნებთან და კონსტიტუციასთან დაკავშირებით. კლინტონის განცხადება, რომ „ამ არჩევნებმა უნდა გამოავლინონ, რომ ქართული დემოკრატია არა მხოლოდ შეესაბამება, არამედ აჭარბებს საერთაშორისო სტანდარტებს,“ იყო აშშ-ის მინიშნება, რომ ადრინდელი სცენარები, როდესაც, პროდასავლური გუნდის ხელისუფლებაში შენარჩუნების გამო 2008 წლის არჩევნების დროს აშშ თვალს ხუჭავდა დარღვევებზე, შეიძლება აღარ განმეორდეს.

აშშ-ის ადმინისტრაციის აზრით, კონსტიტუციური რეფორმა საქართველოსთვის სადღეისოდ ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა რეფორმების კუთხით. კლინტონმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს პარლამენტი გააცნობიერებს ამას, როდესაც დაასრულებს კონსტიტუციური რეფორმების პაკეტის განხილვას.

კლინტონის თქმით, აშშ მხარს უჭერს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს საქართველოში ძალაუფლების დაბალანსების თაობაზე და მზადაა ამ პროცესს ხელი შეუწყოს. თუმცა რამდენად გაითვალისწინებს ვაშინგტონის რეკომენდაციას ნაციონალური მოძრაობა, ალბათ ამ დღეებში გამოჩნდება. წინ საკონსტიტუციო კანონპროექტის მესამე და საბოლოო მოსმენაა. ვენეციის კომისიის პოზიცია კი იყო, რომ პარლამენტი დალოდებოდა კომისიის საბოლოო რეკომენდაციებს და „ზედმიწევნით გაეთვალისწინებინა“ ისინი.

რეკომენდაციები მოუწოდებდა შემცირებულიყო მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ვადები, მკაფიოდ გამიჯნულიყო მთავრობისა და პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური ფუნქციები, კიდევ უფრო გაძლიერებულიყო პარლამენტის როლი და უფრო მეტად დაკონკრეტებულიყო კერძო საკუთრების ჩამორთმევის ასპექტები. კლინტონის განცხადების შემდეგ ვენეციის კომისიის რეკომენდაციების უგულებელყოფა უკვე ნიშნავს აშშ-ის პოზიციის უგულებელყოფასაც, რაც წესით ხელისუფლების ინტერესში არ უნდა იყოს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი არ იქნებოდა კარგი დიპლომატი, რომ სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის შემაჯამებელ სხდომაზე საქართველოსთვის მტკივნეულ და მნიშვნელოვან პრობლემაზე – ოკუპირებულ ტერიტორიებზე – მკაცრი განცხადება არ გაეკეთებინა. ასეც მოხდა, ამერიკელებმა დიპლომატიური ვალი ეფექტიანად მოიხადეს და თანაც ორივე მიმართულებით. საქართველოს ხელისუფლება დაამშვიდეს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში პოზიცია არ შეუცვლიათ, ხოლო რუსებს კიდევ ერთხელ შეუთვალეს, რომ ამ რეგიონში აგვისტოს ომის შემდეგ დამდგარ „რეალობებთან“ შეგუებას არ აპირებენ.

თუმცა კრემლისადმი ამ ღია გზავნილში შეიძლება იმალებოდეს სხვა ფარული გზავნილიც, რაც კრემლს აიძულებს იფიქროს იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს მოსკოვმა იმისათვის, რომ ვაშინგტონმა პოზიცია შეიცვალოს. რუსეთს და აშშ-ს როგორც დიდ სახელმწიფოებს პოლიტიკური თუ სტრატეგიული ვაჭრობისთვის საკმაოდ ფართო თემატიკა აქვთ.

ბუნებრივია, არც ერთ ნაციონალურ ტელეარხს ბოლომდე არ გაუშუქებია ის აშკარა სიცრუე, რაც პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა ამერიკის ატლანტიკურ საბჭოში გამოსვლისას აკადრა საკმაოდ გავლენიან აუდიტორიას, როდესაც საქართველოში მედიის პრობლემებზე დაისვა კითხვა.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ მაისში გამოქვეყნდა ევროკავშირის დელეგაციის ანგარიში, რომელიც საქართველოს მიერ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების შესრულებას ეხებოდა. მასში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ კვლავ რჩება სერიოზული პრობლემები სამაუწყებლო მედიის საკუთრების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

ატლანტიკურ საბჭოში კი გილაურმა წარბშეუხრელად უარყო საქართველოში მედიის საკუთრების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემის არსებობა. „არ ვიცი მედიასაშუალება, რომელსაც შესაძლოა ეს პრობლემა ჰქონდეს“, – განაცხადა მან და და ომახიანად აუწყა, რომ საქართველოში მედია თავისუფალია.

ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტელევიზიები მან დაახასიათა მედიასაშუალებებად, რომლებიც „მთავრობაზე კარგ რამეებს ამბობენ“ და იქვე საკმაოდ უცნაური შედარება გააკეთა ამერიკულ ტელევიზიებთან.

გილაურმა სრული სერიოზულობით განუცხადა ამერიკულ აუდიტორიას (?!ძ, რომ თურმე სხვადასხვა ამერიკული ტელეკომპანიები განსხვავებულ რეალობებს უჩვენებენ მაყურებელს და ეს მისივე სიტყვებით „ნორმალურია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.“(?!ძ

ნებისმიერი ადამიანის უფლებაა ესმოდეს დემოკრატიის არსი ისე, როგორც სურს, მაგრამ როდესაც ეს ადამიანი ქვეყნის პრემიერ-მინისტრია, თუნდაც სიმბოლური უფლებებით, მის მიერ დემოკრატიის ამგვარი აღქმა მოქალაქეებს უფლებას გვაძლევს მას ვკითხოთ: „მედიის მიერ რეალობის გადასხვაფერება დემოკრატიის გამოხატულებაა?“ ან კიდევ რომელი ამერიკული ტელეკომპანია გარისკავს, რომ მის აუდიტორიას რეალობისგან განსხვავებული სურათი წარმოუდგინოს? ეს მისთვის ნიშნავს ნდობის, აუდიტორიის დაკარგვას, მილიონობით ზარალს და აურაცხელ პრობლემას.

ჩვენი „დემოკრატიული“ ტელესივრცე კი ამ მხრივაც გამორჩეულია. ტელეკომპანიებს შეუძლიათ უთვალავჯერ მოატყუონ აუდიტორია, ფეხქვეშ გათელონ ყველა ჟურნალისტური სტანდარტი და ერთ მშვენიერ დღეს პარლამენტმა მილიონობით ვალი ჩამოაწეროთ. აბა რომელ დასავლურ დემოკრატიაში მოუვა პარლამენტს აზრად ასეთი დემოკრატიული ინოვაცია?

**ზაალ ანჯაფარიძე,**
**ჯი-ეიჩ-ენი**

## ინფორმაცია

### რუსეთის არასერიოზული ქმედებები გრძელდება

**ქართული** მხარე რუსეთსა და მარიონეტულ რეჟიმებს შორის ე.წ. დიპლომატიური შეთანხმებების გაფორმებას სერიოზულად არ აღიქვამს.

ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესაბამისი ე.წ. დიპლომატიური წარმომადგენლობების გახსნის კომენტირებისას განაცხადა.

— არ შეიძლება სერიოზულად იყო მიღებული ეს ქმედება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის ქმედება, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ახორციელებს მარიონეტულ რეჟიმებთან. მათი მხრიდან ეს არის თავის უკანონო გადაწყვეტილების ლეგიტიმაციის მცდელობა, მაგრამ ეს ყველაფერი საერთაშორისო სამართალთან წინააღმდეგობაშია, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიაზე, — განაცხადა კალანდაძემ.

### ავღანეთში ჯარისკაცების შემდეგ ექიმებს აგზავნიან

**საქართველო** მზადაა ავღანეთის სამშვიდობო მისიის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში ექიმები და დამხმარე პერსონალიც გაგზავნოს.

ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ორშაბათს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

— როგორც იცით, მსოფლიოში ავღანეთთან მიმართებაში მსოფლიოში არსებობს რამდენიმე მოსაზრება, მათ შორის რეგიონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით. ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველო რჩება თავისი ვალდებულების ერთგული და არ აპირებს თავის წარმომადგენლების გამოყვანას, პირიქით აცნობიერებს პასუხისმგებლობას, რომ მიუხედავად სამწუხაროდ მსხვერპლისა, მზად ვართ სამშვიდობო მისიაში უფრო აქტიური მონაწილეობა მივიღოთ, — განაცხადა კალანდაძემ.

როგორც ცნობილია, რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ აღნიშნა, რომ ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობას სამოქალაქო სექტორიც მიიღებს.

ჯი-ეიჩ-ენი



⊙ საგარეო ვალი

# უცხოურ წარმოებას ისევ ჩვენ ვაფინანსებთ... ჩვენივე აღებული ვალებით



**მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომელთა საგარეო ვალი ათობით მილიარდ დოლარს თუ ევროს შეადგენს, ჩვენი დაახლოებით 8-მილიარდიანი საგარეო ვალი, თვალის ერთი გადავლებით, თითქოს ბევრი არაფერია. თუმცა სადღეისო რეალიებს თუ გადავხედავთ, როცა ვალის მარტო საპროცენტო მომსახურებას სახელმწიფო ბიუჯეტის 20 პროცენტამდე სჭირდება, ეს მეტად მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას.**

არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ლაპარაკია მხოლოდ პროცენტების გადახდაზე, თორემ ვალის ძირითად თანხას ერთი დოლარიც არ აკლდება. მეტიც: საგარეო ვალი აგერ უკვე სამი წელია სულ უფრო და უფრო იზრდება, თუმცა მანამდე (2005-06 წ.წ) იგი მცირდებოდა, რადგან უამრავი სასიკეთო რამ, რაც ქვეყანაში კეთდება, ვთქვათ, შავი ზღვისპირეთის საკურორტო ადგილების ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობა, სასტუმრო კომპლექსების მშენებლობა, საავტომობილო გზების გაყვანა-რეაბილიტაცია (სხვა საქმეა მათი ხარისხი, რასაც ახლო მომავალში დავინახავთძ და ა.შ. დიდი წილით ისევ საზღვარგარეთიდან ვალად მიღებული დახმარების ხარჯზე კეთდება, რა თანხებიც ისევ ვალად გვედება. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მათ სტრუქტურაში გრანტები არცთუ დიდ პროცენტს შეადგენენ, თანაც რატომ არის ეს გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მდგენელი ნაწილი, დღემდე გარკვევით მაინც ვერავინ აგვიხსნა. შემოსავალი ხომ საკუთარი შრომის შედეგი უნდა იყოს და არა ვინმეს მოწყალება, თუნდაც მთელი სულითა და გულით გაღებული?!

ეს არასახარბიელო ტენდენცია ახლაც გრძელდება და, როგორც აღვნიშნეთ, სადღეისოდ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისადმი საქართველოს ფინანსური დავალიანება დაახლოებით 8 მილიარდია.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე საგარეო ვალის გასტუმრების მხრივ გარკვეული დადებითი ძვრები მოხდა, კერძოდ, შემცირდა საქართველოს დავალიანება ევროკავშირის მიმართ, სამაგიეროდ ამავე პერიოდში გაიზარდა, თან მნიშვნელოვნად, ჩვენი მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და აზიის განვითარების ბანკისთვის გასასტუმრებელი თანხა. ასევე ბოლო ორი წელია იზრდება ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი კრედიტორის, გერმანიის მიმართ ვალი – 360,7 მილიონიდან 420,2 მილიონ ლარამდე. გარდა ამისა, შემცირდა სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების მოცულობაც. ამ მხრივ ვითარება ერთი ძველი ანეკდოტის ამბავს ჰგავს: ქმარი ეუბნება ცოლს: ჩვენი ოჯახის გასავალი შემოსავალს სჭარბობს, ასე საკუთარ სიბერეს ვერ უზრუნველყოფთო, რაზეც ქალური ლოგიკით ნაკარნახევ პასუხს იღებს: – ძვირფასო, იქნებ ყოველთვიურად ცოტ-ცოტა ფული გვესესხა ახლობლებისგან და „შავი დღისთვის“ ის გადაგვენახაო...

საქართველოს საგარეო ვალიდან 4 მილიარდ ლარზე მეტი შარშან მრავალმხრივი კრედიტების წილად მოდიოდა, წლეულს მთლიანი საგარეო ვალდებულებები კიდევ 1 მილიარდ 120 მილიონზე მეტით გაიზრდება, ხოლო დავალიანების დასაფარავად, „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით 135 მილიონ ლარზე ოდნავ მეტია გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ დავალიანებების შემდეგ სიდიდით მომდევნოა სახელმწიფო ვალდებულებებით (ე.წ. ევროობლიგაციებითძ ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა მომსახურება ქვეყნის გადასახადის გადამხდელებს წლეულს 210 მილიონი ლარი დაუჯდება. რაც შეეხება ევროობლიგაციების გამოშვების აუცილებლობას, ამის თაობაზე დამოუკიდებელი ექსპერტები იმთავითვე ეჭვს გამოთქვამდნენ, თუმცა საქმე უკვე გაკეთებულია და ამ ვალსაც სხვებივით მომსახურება სჭირდება. ევროაქციები ლონდონის საერთაშორისო სავალუტო ბირჟაზე საქართველომ ორი წლის წინათ ხუთწლიანი ვადით გაიტანა. მიღებული თანხის გასტუმრება, შესაბამისად, 2013 წელს უნდა მოხდეს, რომელიც, ყველა დონის ექსპერტული შეფასებით, ფინანსურად საქართველოსთვის ყველაზე მძიმე წელი იქნება უახლოეს ისტორიაში. ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ ევროობლიგაციების გაყიდვით შემოსული სახსრების ლომის წილი მიმდინარე ხარჯის დასაფარავად, არასაწარმოო სექტორში მიიმართება, იმპორტული საქონლის შეძენაზე იხარჯება, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ **უცხოეთიდან, პრაქტიკულად, სესხად აღებული ფულით, ჩვენ... ისევ მათ პროდუქციას ვასაღებთ და, ამდენად, მევალეთა ინდუსტრიას, ეკონომიკას ვაფინანსებთ!** ეს, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად ზრდის საქართველოს წლების განმავლობაში ისედაც ძალიან დიდ უარყოფით საგარეო სავაჭრო ბალანსს, თანაც იმპორტულის შესაძენად საჭირო სავალუტო სახსრების შემოტანის წყარო მნიშვნელოვანი სამეწარმეო ბაზისა და საექსპორტოდ დიდი მოთხოვნის სასაქონლო ჯგუფების უქონლობის გამო, საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს. უცხოური, გნებავთ, ადგილობრივი ტურიზმი, იცოცხლეთ, კარგი კია, მაგრამ ერთი რომ იმ დონის უცხოური ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას, რაზეც მთავრობა ამჟამად ასე დიდ იმედებს ამყარებს, წლები და წლები დასჭირდება, ადგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას კი საამისოდ სახსრები არ გააჩნია. და, როგორც ჩანს, კიდევ კარგა ხანს არ ექნება, ვინაიდან მცირე და საშუალო წარმოების ხელშესაწყობად არაფერი კეთდება რომ ვთქვათ, მართებული თუნდაც იმიტომ არ იქნება, რომ პროცესები საპირისპირო მიმართულებით უფრო ვითარდება.

და კიდევ ერთი რამ. უფრო მეტად შეძლებულ ხალხზე გათვლილი უცხოური ტურიზმის განვითარებას ერთი რომ დრო სჭირდება, რაც ყველას კარგად მოეხსენება, მეორეც ის, რომ გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: კი ბატონო, საქართველო უცხოელთათვის ნამდვილად მიმზიდველი ქვეყანაა, მაგრამ განა ჩვენს სამშობლოზე ნაკლებად მომხიბლავი ქვეყნებია, ვთქვათ, პორტუგალია, ესპანეთი ან იგივე საბერძნეთი, რომელიც საგარეო ვალებში იგუდება? ამასაც ხომ დაფიქრება სჭირდება!

**ოთარ ტურაბელიძე**

⊙ ინფორმაცია თემაში

***საქართველოს საგარეო ვალი 2005 წელს, წინა წელთან შედარებით, 15,6 პროცენტით შემცირდა და 3 მილიარდ 509 მილიონი ლარი შეადგინა. 2006 წელს საგარეო ვალმა კიდევ უფრო დაიკლო და 2 მილიარდ 954 მილიონი ლარის ნიშნულს მიაღწია, ხოლო 2007 წელს ეს მაჩვენებელი 3 მილიარდ 15 მილიონი ლარის ნიშნულზე „ახტა“ და მას შემდეგ სულ ზევით მიიწევს: 2008 წელს მან 4 მილიარდ 407 მილიონი ლარის, ხოლო შარშან თითქმის 6 მილიარდი ლარის დონეს მიაღწია.***

⊙ რკინიგზა

# „თბილისი-ბორჯომის“ მატარებელს ევროკავშირის არც ერთი სადგური არ მიიღებს!..

***ღრმად მწამს, რომ ამ წერილს ჩემთან ერთად ხელს მოაწერდა ათასზე მეტი ბორჯომელი, რომელსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში თბილისიდან ბორჯომამდე მატარებლით უმგზავრია... საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობამ, მძიმე სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, დანიშნა ყოველდღიური სამგზავრო მატარებელი „თბილისი-ბორჯომი“ მგზავრობის მინიმალური ღირებულებით. თბილისიდან ბორჯომამდე და პირიქით, ანუ ბორჯომიდან თბილისამდე მგზავრობის ფასი 2 ლარია, ხოლო თბილისიდან ხაშურამდე – 1 ლარი. ეს მართლაც მნიშვნელოვანი შეღავათია და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ვერც რბილსავარძლიან კომფორტულ ვაგონებს დავიწუნებთ, მაგრამ...***

მაგრამ თბილისის ბორჯომის ვაგზალში იღებ ბილეთს და ელოდები მატარებელს. ბილეთები არ ინომრება. მგზავრების უმრავლესობა მატარებელში იღებს ბილეთს. მთავარია, როგორმე შეაღწიო ვაგონში და თავისუფალი სავარძელი იპოვნო. ეს კი ძალზედ რთულად მისაღწევია. შეღავათიანი მგზავრობის მსურველთა რიცხვი ათჯერ აღემატება ოთხი ვაგონის სავარძლის რაოდენობას. ფიზიკურად ძლიერი ადვილად არღვევს მგზავრთა ნაკადს და სავარძელს ეუფლება, ხოლო ვინც სავარძლის გარეშე რჩება, მას ფეხზე მოუწევს დგომა ხაშურამდე.

გორში და ხაშურში მგზავრთა უმრავლესობა ჩადის, ხაშურიდან ფეხზე მდგომი ბორჯომელი მგზავრი სავარძელში თავსდება. რკინიგზით მანძილი თბილისიდან ბორჯომამდე 152 კილომეტრია, აქედან ხაშურიდან ბორჯომამდე 32 კილომეტრი. ხაშურამდე 120 კილომეტრის გავლას მატარებელი 3 საათს უნდება, ხოლო ხაშურიდან ბორჯომამდე დარჩენილ 32 კილომეტრს – 2 საათი. ხაშური-ბორჯომის სარკინიგზო მონაკვეთი ისეთ ავარიულ მდგომარეობაშია, რომ მემანქანე იძულებულია საათში დაახლოებით 15 კილომეტრი სიჩქარით იმოძრაოს.



შედარებისათვის გაცნობებთ, ძვირფასო მკითხველო, რომ მოსკოვიდან პეტერბურგამდე რკინიგზით 750 კილომეტრია და მატარებელი 3 საათში ჩადის, ხოლო ჩინელებმა მატარებლის სიჩქარე კიდევ უფრო გაზარდეს და იქ ათასკილომეტრიანი სარკინიგზო მონაკვეთის გავლას 3 საათი სჭირდება. ასეთი სიჩქარე ჩვენთვის ოცნების სფეროა. სტაჟიან მემანქანეებთან არაერთმა გასაუბრებამ დაგვარწმუნა, რომ თბილისიდან ბორჯომამდე 152 კილომეტრს მატარებელი 2 საათში დაფარავს, თუ რკინიგზა უსაფრთხო იქნება.

თბილისიდან გორამდე და ხაშურამდე ძირითადად გარემოვაჭრეები მგზავრობენ. მათთვის ხელსაყრელია 1 ლარად მგზავრობა და მატარებელში შესაღწევად „აკრძალული ილეთების“ გამოყენებას არ თაკილობენ. ბორჯომელები, განსაკუთრებით ქალები და ბავშვები, მათ წინააღმდეგობას ვერ უწევენ, ხშირ შემთხვევაში ხაშურამდე ფეხზე დგომა უწევთ. 5-საათიანი მგზავრობით გაწამებული ადამიანები ვაგონში კუჭის მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ. სურსათის ნარჩენებს ვაგონში ყრიან და ბორჯომში დანაგვიანებული მატარებელი ჩამოდის. ერთ დროს გაჩირაღდნებული რკინიგზის ბორჯომბალის ვაგზალი ამჟამად ჩაბნელებულია, ელექტროენერგია გათიშულია, არც ტელეფონი მუშაობს, ვაგზალს დამლაგებელი აღარ ემსახურება, დაბინძურებულ ვაგონებსაც აღარავინ ასუფთავებს.

მატარებლის კონტროლიორმოლარეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ხაშურიდან ბორჯომამდე აღარ აწუხებენ მგზავრებს შემოწმებით. ითვალისწინებენ ხაშურამდე მათ ფეხზე დგომას, ეს იციან ბორჯომელებმა და ბილეთს ხაშურამდე იღებენ. ამრიგად, ბორჯომამდე ერთ ლარად მგზავრობენ, რაც სარეისო მიკროავტობუსის ფასთან შედარებით (7 ლარიაძ მართლაც დიდი შეღავათია. მიუხედავად ასეთი შეღავათისა, მგზავრები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ რკინიგზის ხელმძღვანელთა მისამართით, რადგან ხშირ შემთხვევაში ხაშურამდე სამსაათიანი ფეხზე დგომით გაწამებული არიან. ნუთუ დიდ სირთულეს წარმოადგენს ბილეთებზე ადგილების აღნიშვნა. ვინც ვაგზლის სალაროში შეიძენს ბილეთს, ადგილი გარანტირებული ექნება და სავარძლისთვის ბრძოლა აღარ მოუწევს.

ძალიან გვინდა საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს, მაგრამ ამისთვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. საკმარისია, „თბილისი-ბორჯომის“ მატარებელში ადგილების დასაკავებლად მგზავრების გააფთრებული ბრძოლა და ნაგვით სავსე ვაგონები იხილონ, ევროკავშირში ჩვენს მიღებას მხარს არ დაუჭერენ. ჩვენი ევროპელობა კი მხოლოდ ოცნებად დარჩება.

**მტკივნეულია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ: „თბილისი-ბორჯომის მატარებელს და მის მგზავრებს ევროკავშირის არც ერთი ქვეყნის სადგური არ მიიღებს!..**

**რობერტ ცუცქირიძე**

გარეკეს!

***რომ იტყვიან, დღე ერთია, გაჭირვება კი ათასიო, სწორედ ისეა ჩვენი საქმე — გამოფხეკილი სახელმწიფო ბიუჯეტის კიდევ უფრო გამოფხეკილი ჩვენი ჯიბეების ხარჯზე შევსების საქმეში ნაცების „საზრიანობას“ მართლაც არა აქვს საზღვარი.***

***რომელი ერთი ჩამოვთვალო? ე. წ. „რემნების“ 40-ლარიანი ჯარიმები თუ „სითიპარკის“ 50 ლარამდე აწეული გადასახადები, ყვითელ ავტობუსებში კონტროლიორებად გადაკეთებული ნაცაქტივისტების ნადირობა უბილეთო მგზავრებზე თუ, საერთოდ, ცხოვრება რომ ყოველდღიურად ძვირდება?***

# მრავალძარღვის დადება თუ შეიძლება ურეცეპტოდ, ზიზია მინისტრო?

## ანუ რა გველის წინ, სურნელოვანი ვარდების ნაცვლად „აყროლებული“ ნივრის თუ ანალგინის რევოლუცია?

დიახ, ყოველდღიურად, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. და ეს რომ ასეა, ყველა დამემოწმება, ვისაც მაღაზიებში სიარული ყოველდღე უწევს და არა ისე, ჩვენი პრეზიდენტივით, ამას წინათ „პიარპაკუპკა“ რომ გააკეთა ჩვენ, უფრო სწორად, მიშავიზია ტელევიზიების „თვალწინ“ და — არაფერიც არ გაძვირებულაო, ეს ჭორები რუსეთის მიერ ნაყიდი და მართული, მოღალატე ოპოზიციის დარხეულიაო, — რომ თქვა.

ისემც კარგი დაემართოს ჩვენს პრეზიდენტს, რომ ოპოზიცია მართულია. და თუ იგი ვინმესგან მართულია, ისევ ვანო მერაბიშვილისგან. **რაც შეეხება დარხეულ ჭორებს, არ ვიცი, ვინ რას არხევს, მაგრამ ამ ყველაფრის გამო უბრალო ხალხს რომ „ერხევა“, ეს უეჭველია.**

ჰოდა, ვითომ არ გვეყოფოდა, რითაც თუ რის გამოც აქამდე ისედაც გვერხეოდა და **ახლა კიდევ ერთი ახალი „რეფორმა“ არ გვაჯახეს? ე. წ. სარეცეპტო რეფორმაზე მოგახსენებთ.** თანაც, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უკვე კარგად ნაცნობი „მელოდიის“ — ხალხზე ზრუნვის სიმღერის ფონზე მიდის — მუსიკა ჯანდაცვის ახალი მინისტრისაა, ტექსტი — „რუსთავი-2“-ის ძველი თენგიზ გოგოტიშვილისა და — შენ დაუკა!

თურმე, ნუ იტყვით და, ეს მორიგი „რეფორმა“ ჩვენ ჯანდაცვის სამინისტროში ამჯერად ვიწრო, ფარმაცევტული გაგებით იმიტომ კეთდება, რომ თვითმკურნალობა, რასაც ჯიუტად ეწევა ჩვენი მოსახლეობა, ყოვლად დაუშვებელია. ამიტომაც ახალი წლიდან, როგორც ჩვენს პრეზიდენტს უყვარს ხოლმე თქმა, ნურას უკაცრავად — ურეცეპტოდ თითქმის ვერაფერს შეიძენთ აფთიაქებში!

**აფთიაქებში, რომლებსაც, როგორც იტყვიან, ისედაც ცეცხლი უკიდიათ, ამის შემდეგ, როგორც თავად მინისტრმა თქვა, რაღაც ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი წამლის დასახელებით ზედაც არ შემოგხედავენ და ძველი, მამაპაპური რეცეპტი იქნება საჭირო.**

ამ რეცეპტისთვის კი რა იქნება საჭირო? რა და, ექიმთან მისვლა, რასაც ასე ერიდება და რაც ასე არ უყვარს ჩვენს „შეუგნებელ“ მოსახლეობას, რადგან შეგნებული და ძვალ-რბილში გამჯდარი სხვა რამე აქვს — **უკიდურესი აუცილებლობის გარდა** (გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია და ა. შ.ძ **არამც და არამც არ უნდა მიხვიდე ჩვენს, მსოფლიოში „სამი ლუჩში“ სამკურნალო დაწესებულებაში, რადგანაც, როგორც იტყვიან, კუდის რიკამდე გაგატყავებენ.** ამიტომ მათთან მისვლას ისევ თვითმკურნალობას ამჯობინებს საშუალო სტატისტიკური რიგითი ქართველი.

რიგითი, თორემ ე. წ. ნაცელიტის წარმომადგენლები კბილის ამოსაღებადაც საზღვარგარეთ გარბიან. არაფერს ვიტყვი მათი ცოლების მშობიარობაზე ავსტრიაში თუ სხვაგან (ეს, მოგეხსენებათ, თავად სააკაშვილმა თქვა ამერიკაში!ძ.

რა დაგვიჯდება ბანალური რეცეპტის გამოწერა ლარების ეკვივალენტში დახარჯულ დროსთან და დაწყვეტილ ნერვებთან ერთად, ჯერ უცნობია. ერთი რამ ახლავე ცხადია — რეცეპტში გადახდილი თანხა „უმნიშვნელო“ წანამატი იქნება აფთიაქში გადახდილი თანხისა.

არც ის არის ცნობილი, თუ რა სანქციები განხორციელდება მათ მიმართ, ვინც ჯიუტად გააგრძელებს თვითმკურნალობას აფთიაქის გვერდის ავლით. მაგალითად, რა მოელის მას, ვინც მამაპაპურ მრავალძარღვას ურეცეპტოდ დაიდებს იარაზე?

ხუმრობა იქით იყოს და ერთმა ჯანდაცვის მესვეურმა სრული სერიოზულობით განაცხადა, რომ **„ფორსმაჟორულ“ სიტუაციაში, მაგალითად ყურის, ან კბილის უეცარი** (როგორც წესი, ამ „ოხრებმა“ შუაღამისას იციან გაჩმახებაძ **ტკივილისას სასწრაფო გამოიძახეთ, რომელიც უფასოაო!**

ზემოთ ლარის ეკვივალენტი ვახსენე და მინდა, ისევ ჩვენს, ზოგადად მძიმე სოციალურ ვითარებას დავუბრუნდე, რაც კიდევ უფრო დამძიმდებაო, ამბობენ.

ეკონომიკა-ფინანსებში პროფესიონალი არა ვარ, მაგრამ ჩემი დილეტანტური ცოდნაც კმარა იმის მისახვედრად, რომ საქართველოში ლამის ჰიპერინფლაცია მძვინვარებს. აბა სხვა რა ჰქვია იმას, რომ საქართველოში „აყროლებული“ ნიორი 10 ლარი და მეტიც ღირს? რომ ყველა ძირითადი მოხმარების პროდუქტი, ზეთი იქნება ის თუ ბურღულეული, შაქარი და ა. შ. ლამის ყოველდღიურად „შეუმჩნეველი“ 5-10 თეთრით ძვირდება?

ამ ფონზე კი ლარის კურსი დოლართან მიმართებაში ჯიუტად მყარად დგას 1,8 ნიშნულზე. **არადა, თუ ინფლაციის დონეს გავითვალისწინებთ და იმასაც, რომ ჩვენი სამომხმარებლო ბაზარი „დევიანოსტოსჩემტო“ პროცენტით იმპორტზეა ჩამოკიდებული, პირიქით უნდა იყოს.**

აბა მაშ ის, რომ ლარის დოლართან შეფარდების კურსი ხელოვნურია და ეს ახალი „რეფორმაც“ რომ მოსახლეობის გაღატაკების და ბიუჯეტის შევსების ვერაგული საშუალებაა, ამის მიხვედრას ფინანსისტობა სჭირდება?

ვერ გამიგია, რატომ სჩადის ჩვენი ხელისუფლება ასეთ წარმოუდგენელ უმსგავსობებს? **ალბათ მართალია ზოგიერთი ექსპერტის (არასახელისუფლოსი) მოსაზრება, რომ ნაცები უკვე ისეთი დონის მარაზმში არიან, თვითგადარჩენის ინსტინქტიც აღარ აქვთ?**

ზამთარი კარს მოგვადგა. და სწორედ ზამთარშია მოსალოდნელი ის, რასაც ხალხის მასობრივი შიმშილობა ჰქვია და არა ე. წ. საარსებო მინიმუმის თუ სამომხმარებლო კალათის გაძვირება.

ერთი რამ მაინც არის ამ ყველაფერში „იმედის მომცემი“ — ეს ყველაფერი თანაბრად შეეხებათ გარე თუ შიდა მოვაჭრეებს, პენსიონერებს თუ უმუშევრებს, ძველ თუ ახალ ლტოლვილებს. ერთი სიტყვით, საზოგადოების უკლებლივ ყველა ფენას. **და მაშინ მშიერი ხალხი ყოველგვარი ოპოზიციური პარტიის გარეშე გაერთიანდება და იხუვლებს.**

თანაც ჩვენი უდღეური, ხშირ შემთხვევაში მარტივად გაყიდული ოპოზიციისგან განსხვავებით, რომელსაც ხან სცივა და ზაფხულს ელოდება, ხან კი ცხელა და შემოდგომაზე გვპირდება რაღაცებს, კუჭგამხმარი ხალხი არ დაგიდევს დროსა და ამინდს — ყველას და ყველაფერს წალეკავს!

**ერთია საკითხავი, ეს „წალეკვა“ როგორი სახელით შევა ისტორიაში — ნივრის თუ ანალგინის რევოლუციის სახელით?**

**დავით მხეიძე.**




ჩვენ

# თედო პაპას ქვეყნის დამოუკიდებლობისა არ სჯერა

— მოგვატყუეს, ბატონო, გაგვაცურეს, ულმერთოდ მოგვალორეს, რუსები ხომ ორი საუკუნე გვასხდნენ კისერზე, გგონია, ჩამოვიდნენ?! ახლა ამერიკელები შემოგვასხდნენ, კიდევ ვილაც სოროსიო, ათასი ძაღლი და მამაძაღლი შემოგვესია. ჩვენი ვაიხელისუფლება კი გვამუნათებს, დამოუკიდებლები ვართ, თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთო. ეს ხომ ბლეფია, თვალებში ნაცრის შეყრა, — დაფანჩულ წარბებს ქვემოდან საუკუნეჩამდგარი, გაკაჟებული მზერა შემომაგება.

— დამოუკიდებლები კი ვართ, მაგრამ... — შევეწინააღმდეგე.

ჩვენ ორსართულიანი სახლის აივანზე ტაბლას ვუსხედვართ, მწირი, მაგრამ კეთილი გულით მორთმეული პურმარილი, ლალისფერი ღვინო და წინ გაშლილი ხეობა...

— ვითომ, დავიჯერო, შენც ასე ფიქრობ?! ამხელა გამოცდილების კაცი ხარ და... — ჯაფისაგან დაკოჟრილი ხელით პური გატეხა, ლუკმა უგემურად გაღეჭა და სასმისი შეავსო.

— განა მეც არ მინდა, ასე რომ იყოს, მაგრამ რომ არ არის?.. ქვეყანა ქვეყანას არ ჰგავს, ხალხი დაბეჩავდა, ხელისუფლება რომ არ გვივარგა, იმიტომ ჩაგვყარეს ასეთ დღეში, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ვითომ „ჩამორჩენილმა“ შუა აზიის ქვეყნებმა, თვით საბრალო და გაძვალტყავებულმა სომალმაც კი, რომელთა მეკობრეები ისე ყოფილან აღჭურვილი, ჩვენი მეზღვაურებით დაკომპლექტებული გემი ხელიდან არ გაუშვა, დიდ გამოსასყიდს მოითხოვენ, ალბათ. ჩვენ კი თვითონ გავყავით თავი ყულფში და საცოდავად ვფართხალებთ...

თედო პაპამ (ხეობაში ასე ეძახიან, თორემ ჩემზე უფროსი ასე ოთხიხუთი წლითააძ აფხაზეთი ახსენა და უმალ ჭიქა შევავსე. აფხაზეთი მისი ყველაზე დიდი ტკივილია, მისი ერთადერთი ვაჟკაცი იქ გმირულად დაიღუპა. სამი ობოლი დარჩა საპატრონო. ისინი ახლა თბილისში არიან, დედის ამარა, თედო პაპა კი წელს იწყვეტს, რომ რაღაც მოინაგროს, ლუკმაპური არ მოაკლოს თავის ბარტყებს.

— მაშინ ჩვენ რომ არ აგვეტეხა ის ამბავი, ცხრა აპრილი, ის სისხლისღვრა, ხომ ვიქნებოდით სხვებივით მშვიდად. აკი ის მამაძაღლი გორბაჩოვი დაგვემუქრა კიდევაც, პრობლემები გექნებათო, ჩვენ კი არ მოვიშალეთ და საკუთარი სისხლიც დავღვარეთ. აფხაზეთში დაღუპული ბიჭების ხსოვნისა რომ შევსვით, მოხუცმა საუბარი გააგრძელა:

— მართალია, გლეხი ვარ, მაგრამ უწიგნური — არა, სხვა რომ არაფერი, იმ სამამულო ომში 700 ათას ქართველთან ერთად მეც ვიბრძოდი, სტალინგრადიდან ბერლინამდე ტყვიების წვიმაში ფეხდაფეხ ჩაველი, ახლა რომ ლანძღავენ და აგინებენ, ძეგლს რომ ჰპარავენ, ის კაცი გენიოსი იყო, ჭკუით დაჯაბნა ჰიტლერი, თორემ გერმანელები მოსკოვთან იდგნენ და საქართველოს ჭიშკარსაც მოადგნენ. დღეს რომ სამშობლოს სახსენებელი გააწყვეს, მაშინ სამშობლოსა და სტალინის სახელით ვიბრძოდით და გავიმარჯვეთ.

ჭიშკარს ჭაღარა ქალი მოადგა. მორიდებით შემოეხმიანა. მობრძანდითო, კი შესძახა თედო პაპამ, მერე მარდად წამოდგა და სტუმარს იქით ეახლა.

უსაშველოდ ცხელა. კი, შიგადაშიგ ხეობას ჩამოყოლილი ნიავი შემოუბერავს, მაგრამ... ძნელი წარმოსადგენი არაა, ქალაქში რა ჯოჯოხეთში ტრიალებს. ამგვარი ცხელი ზაფხული არ მახსოვსო, თედომაც მითხრა. სიცხე სიცხედ, ბუნებამაც გაგვწირა და მოსავალი ილუპება. აქედან სამ კილომეტრში, სათიბებს რომ ეძახიან, იქ სოფელს საყანე ნაკვეთები აქვს, თედოსაც მოყავს სიმინდი, ლობიო, კარტოფილი და ამარაგებს შვილიშვილებს.

— რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელია, — სტუმარი რომ გაისტუმრა და დაბრუნდა, ანგარიში ჩამაბარა თითქოს. მტკვრის პირას შეშა მოუგროვებია. სამი შვილი ჰყავს, კარგად ცხოვრობენ და სოფელში ჩამოსასვლელად ვერც ერთი ვერ იცლის, არადა ეგ საბრალო აქაურობას ვერ ელევა. ეს სოფელი ხომ ლამის აგარაკად იქცა, სიდუხჭირემ ბევრს გააყიდვინა სახლ-კარი, ყიდულობენ მოაგარაკენი, ზამთრობით კი აქაურობა გამოყრუებულია.

— კი, სოფლები დაიცალა, ეგ ყველაზე დიდი უბედურებაა...

— აქედან სამიოდე კილომეტრში ახალდაბაა, ხეობის ყველაზე დიდი დასახლება, იქ ოთხიათას ადამიანზე მეტი ცხოვრობდა, უდიდესი ავეჯის ქარხანა ჰქონდა, ყველაფერი გაანადგურეს, გარბიან და გარბიან აქედან...

— მაინც რითი არსებობს აქაური მოსახლეობა?

— ეს თუ ყოფაა და... მოხუცები — პენსიით, ადრე გირჩს აგროვებდნენ, ახლა ისიც აკრძალეს. არადა, იტალიელები დიდ ფულს იხდიდნენ. თევზაობდნენ, იქაც თუ გამოიჭირეს, ტყავს გააძრობენ. შეშა რომ შეშაა, იმისთვისაც ლიცენზია გვჭირდება... შევარდნაძის დრო რომ გაგიხდება კაცს სანატრელი... მაშინ შაქარი 70 თეთრი ღირდა, ახლა 2 ლარი გახადეს. პურს ფასი მოუმატეს და წონა დააკლეს, არც კი ვიცი, ბავშვები როგორ გამოვკვებო. მოკლედ, მტერი არ მოგვექცევა ისე, როგორც ჩვენი ხელისუფლება გვეპყრობა.

— კი, ეგრეა, აგერ ლტოლვილები ბარბაროსულად გამოყარეს...

— ბავშვიან ქალებს ასე რომ მოეპყრობიან, ის პოლიციელები რა დედებმა გაზარდეს ან თვითონ არ ჰყავთ ოჯახი?

— აგერ, ჩემმა ნათესავმა 20 წლის ბიჭმა ქალაქში თავი ჩამოიხრჩო, ამბობენ, კაზინოში ფული წააგია, მშობლებს ვერ გაუმხილა და...

— ესეც ერთი უბედურებაა, სადლაც წავიკითხე, ბოლო წლებში ხუთიათასამდე კაცმა მოიკლა თავი.

— იმ ომმა ცხოვრება წამართვა, გვიან დავოჯახდი, ერთი შვილი რომ მყავდა, ვიფიქრე შვილიშვილებს დავზრდი-მეთქი. არც ჩემს ვაჟკაცს დასცალდა. — მორიგი ჭიქა ასწია და სამშობლოს გაუმარჯოსო.

— ამ ორიოდე დღის წინათ თურქები მოვიდნენ. არ დაიჯერებ, ნიორი ნიორში გაგვიცვალეო. ერთ კილოში ხუთ კილოს მოგცემთო. ხომ ხედავ, თავიანთი ნიორი თვითონ არ უნდათ ჭამონ, ჩვენ კი თურქულ, ირანულ, თუ ვინ იცის სადაურ ბოსტნეულს გვჩრიან და... არადა, ქართველ კაცს, ჩვენი მიწაწყლის პატრონს უცხოური რატომ უნდა გვჭირდებოდეს?

გვიან ავიშალეთ, ჭიშკართან რომ გამომაცილა, ჩუმად მითხრა, ხელი მიგიწვდება და შენ მაინც თქვი სიმართლეო. რომ მოგვატყუეს, რომ არა ვართ დამოუკიდებელნი, ულმერთოდ გაგვყიდეს, ხმამაღლა ვიყვიროთ, იქნებ ჩვენებურებმა ყურად იღონ. ამბობენ, ამ შემოდგომით თბილისში დიდი გამოსვლები იქნებაო და მეც თქვენთან მიგულეთ!

**გივი ჯახუა,**
ბორჯომის ხეობა

რეფორმა

# მანდატურები თუ პოლიტიკური პოლიცია სკოლაში?

**სპეცნაზი სკოლაში თუ გამომანდატურებული სკოლები? — უნებლიედ გავიფიქრე, ლეიბორისტების ოფისიდან რედაქციისკენ მომავალმა: ის, რაც ბატონმა სოსო შატბერაშვილმა ბრძანა ბრიფინგზე, ზემოთქმულის გარდა სხვა საფიქრალს აღარ გვიტოვებდა. სკოლებს მანდატურები შესევიან და განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილთ იქ წესრიგის დამყარების ნაცვლად სპეცნაზის ფუნქცია შეუთავსებიათო.**



დარევიან სკოლებს, გარეთ გამოუყრიათ ხატები, მოსწავლეებისთვის ჯვრები ჩამოუხსნიათ... ამას თავი დავანებოთ, სპეციალური კაბინეტებითა და ტექნიკით აღჭურვილნი თურმე გამუდმებით უთვალთვალებენ მოსწავლეებს და პედაგოგებს, მათი პოლიტიკური შეხედულების დასადგენადო.

— 55-ე საჯარო სკოლაში ყოველ სართულზე 3 მანდატური დგას და მოსწავლეებს აკონტროლებს, რადგან ამ სკოლაში ხელისუფლებისადმი საწინააღმდეგოდ განწყობილი პედაგოგები და მოსწავლეები არიან.

ამ სკოლაში მოსწავლეებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს და სააკაშვილი არ შეუშვეს. ამიტომ მასზე განსაკუთრებული „მეურვეობა" დააწესეს, — განაცხადა შატბერაშვილმა.

პარპაშის შემდეგ მათ პოლიტიკური პოლიციის ფუნქცია შეითავსეს სოდის და კუდის მსგავსად. მანდატურები იგივე სპეცნაზია...

სოსო შატბერაშვილმა გაახსენა 161-ე საჯარო სკოლაში რამდენიმე დღის წინათ მომხდარი ამბავი:

— სკოლიდან 2 პედაგოგი დაითხოვეს იმის გამო, რომ ერთმა მოსწავლეს ყური აუწია, მეორემ კი მხარზე მოქაჩა. მანდატურებმა შეადგინეს აქტი და სკოლის დირექტორი მიხეილ მინდაძე აიძულეს მასწავლებლები გაეთავისუფლებინა. სკოლამ გადაწყვიტა აქციის მოწყობა, დირექტორმა პედაგოგ-მოსწავლეები დააშოშმინა, ამ საკითხს მოვაგვარებო და განათლების სამინისტროდან გენერალური ინსპექცია გამოიძახა.



საბოლოოდ შეთანხმდნენ — თუ მასწავლებლები ხმას არ ამოიღებდნენ, შერისხულთ ისევ აღადგენდნენ სამსახურში. ამიტომ ისინი ჯერჯერობით ინკოგნიტოდ დარჩენას აპირებენ. თუ ამ პედაგოგებს სამსახურში არ დააბრუნებენ, სკოლასთან საპროტესტო აქციას გავმართავთ, — განაცხადა შატბერაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს მთავარი მანდატურთუხუცესი შაშკინი კი არ არის, არამედ ვანო მერაბიშვილია.

ლეიბორისტები მოითხოვენ, მანდატურების ინსტიტუტის გაუქმებას და სკოლებში ფსიქოლოგების შესვლას. და თუ მაინც დარჩებიან მანდატურები — მათი ხელფასის შემცირებას 245 ლარამდე, ხოლო პედაგოგებს 800 ლარამდე გაეზარდოთ, — აღნიშნა შატბერაშვილმა.

ლეიბორისტების მესვეურის თქმით, მანდატურებს ჯამაგირიც გვარიანი აქვთ — 700-800 ლარი, რაც პედაგოგის ხელფასს 3-ჯერ აღემატება. მათ შინაგან საქმეთა აკადემიაში გაიარეს სამთვიანი ტრენინგი და საკითხავია, რატომ უნდა ჰქონდეთ მასწავლებელზე ბევრად მეტი ხელფასი?

— მოსწავლეების უმრავლესობა უარს აცხადებს უფროს კლასებში შესვლაზე მანდატურების ზედამხედველობის გამო. მათ მითხრეს, რომ ისინი კარებთან ატუზული უსმენენ, რა ხდება კლასში. სკოლებში ტოტალური დასმენაა. მრავალი მასწავლებელი ამის გამო სამსახურის დატოვებას აპირებს.

შატბერაშვილის აზრით, 2003 წლიდან მიხეილ სააკაშვილმა ქართული სახელმწიფოს ნგრევა დაიწყო და საპოლიციო სახელმწიფოს აშენებს. 2200-ზე მეტ სკოლაში მანდატურების ინსტიტუტის შემოღებაც ამის დასტურია. რამდენიმეთვიანი

ძნელი სათქმელია, ყურად იღებს თუ არა ბატონი შაშკინი ლეიბორისტების მოთხოვნას, რადგან ჩვენს ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ-ვარდებიან ქვეყანაში წესად დამკვიდრდა ყოველგვარ აუგზე თვალის დახუჭვა... ძაღლები ყეფენ, ქარავანი კი მიდის და მიდის...

**ნატა ნიბლაძე**

ინფორმაცია

## ძველი სახლები ნელ-ნელა ინგრევა

**ძველი თბილისის რაიონში ტელეგრაფის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის კედელი ჩამოინგრა. ჩამონგრევის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა სხვა სახლები დააზიანა.**

**ძველი თბილისის რაიონის გამგეობის წარმომადგენლთა განცხადებით, კედელი აღდგენას აღარ ექვემდებარება.**

**რაიონის გამგეობა დაზარალებულ ოჯახებს ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობის დახმარებას გამოუყოფს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

ომგადახდილნი

**აფხაზეთის ომის მონაწილე თემურ ქენქაძე, დედოფლისწყაროში მძიმე პირობებში ცხოვრობს. დედოფლისწყაროს მაჟორიტარ პარლამენტარ ავთანდილ ლეკაშვილსა და ექს-პარლამენტარ ბაჩუკი გონაშვილს უყურადღებობაში ადანაშაულებს, ბრალდებებს უყენებს და აცხადებს, რომ ომში მათ მაგივრად წავიდა. ამბობს, რომ ისინი სიკვდილს გადაარჩინა, თავად კი ომის მონაწილის სტატუსი დღემდე არ აუღია. ქენქაძე თავს მოტყუებულად და დამცირებულად გრძნობს. ამბობს, რომ ხელისუფლებისგანაც უყურადღებობას განიცდის, გაჭირვების ჟამს გვერდში არც ისინი დაუდგნენ, ვის გამოც საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო.**



# ომის თორმეტი მონაწილე ვეტერანის სტატუსს ამ დრომდე ითხოვს

— 1992 წელს, ცხინვალში ჩემი სურვილით წავედი. სამშვიდობო ჯარებში ვირიცხებოდი. 3 თვე სოფელ ვანათში ვიმყოფებოდი. შემდეგ, დედოფლისწყაროს იმჟამინდელმა კომისარმა იორამ ძნელაშვილმა გამგზავნა ვითომც 3-თვიან კურსებზე, მაგრამ იქიდან თავი პირდაპირ აფხაზეთში გვიკრეს. სოხუმში 3 თვე ვიყავი. შავნაბადას ბატალიონში ვირიცხებოდი, დიდი დანაკარგი გვქონდა, ჩემი თვალით ვხედავდი ჩემი მეგობრების დაღუპვას.

**— მეორედ როგორ აღმოჩნდით ომში?**

—შემდეგ დედოფლისწყაროში დავბრუნდი. მუშაობა ორჯონიკიძის კოლმეურნეობაში დავიწყე, რომლის თავმჯდომარე, ამჟამად პარლამენტარი ავთანდილ ლეკაშვილი გახლდათ. ავთომ თქვა, მეც ომში ვაპირებ წასვლას და თქვენს გვერდით მიგულვეთო. აგვიყვანეს იმჟამინდელ გამგებელთან ბაჩუკ გონაშვილთან. გამგებელმა იარაღი მოგვცა და 13 კაცი გაგვგზავნეს. დაგვპირდნენ, როცა დაბრუნდებით, ყველანაირად დაგეხმარებითო.

**— სად გაგანაწილეს?**

— ავთო ლეკაშვილი, ბეჟან გონაშვილი, ვახო კიკილაშვილი და ვაჟა პაპუაშვილი გამოგვყვნენ, ვითომ ისინიც ომში მოდიოდნენ, მაგრამ აეროპორტში დაგვტოვეს და დაიმალნენ. ჩვენი თავი თემურ ფიფიას ჩააბარეს, მან მეთაურ ჯუმბერ წივილაძეს გადაგვაბარა. ლეკაშვილმა და გონაშვილმა ბრძანეს, თქვენ ტყვიაწამალი და საჭმელი ხომ გინდათ და ჩვენც რომ წამოვიდეთ, ვინღა გამოგიგზავნით, ან რაიონს ვინ მიხედავსო. თვითონ გამობრუნდნენ და ლტოლვილები წაიყვანეს დედოფლისწყაროში. თვითმფრინავი იმდენად გადატვირთული იყო, მეომრები ძლივს დაგვსვეს და თავიდანვე დიდი ტრავმები მივიღეთ. ბაბუშერადან სოხუმში წაგვიყვანეს და მაშინვე პირველ ხაზზე გაგვიყვანეს. პირველი შეტაკების შემდეგ მივიღეთ ბრძანება, რომ შეტევაზე გადავდიოდით, მაგრამ მძიმე არტილერია გვბომბავდა და ალყაში მოვხვდით. 7 დღე ასე მომწყვდეულმა, მშიერ-მწყურვალებმა გავატარეთ. ზოგი მძიმედ იყო დაჭრილი და შველას უშედეგოდ ითხოვდა.

**— კონტუზია მაგ დროს დაგემართათ?**

— გულის ჯიბიდან ამოვიღე ტყვიების ჩასაწყობი და აღმოჩნდა, რომ სნაიპერს ჩემთვის პირდაპირ გულში უსვრია და ამ საგანმა გადამარჩინა. ამ ყველაფერსა და შიშზე, კონტუზია მივიღე... ამ დროს, ჩვენ აზრზეც არ ვიყავით, რომ სოხუმი უკვე ჩაბარებული იყო. ჩვენ შეუპოვრად ვიბრძოდით, პირადად მე ძალას არ ვიშურებდი. ფაქტობრივად კი სოხუმი მოღალატე ქართველებმა გაყიდეს. მერე უკან დაბრუნების ბრძანება მოვიდა და ძლივს გამოვაღწიეთ. ჩვენი ტექნიკა, რაც სოხუმში იდგა, ერთბაშად ააფეთქეს. ყველა ვეჭვობდით, რომ ჩვენს კოორდინატებს რომელიღაც მოღალატე შეგნებულად აწვდიდა მტერს. შემდეგ ბატალიონ „მგლებში" გადავედით. ვცდილობდით, მტერი შეგვეყოვნებინა და ჩვენი ხალხი გადაგვერჩინა. როცა მანქანა ჭურვების მოსატანად გაგზავნეს, ცარიელი დაბრუნდა, — აღარ არისო. არადა საწყობი სავსე იყო. იძულებული ვიყავით, ჩვენივე ტექნიკა გაგვენადგურებინა, რომ აფხაზებს არ დარჩენოდათ და ჩვენს წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ. სვანეთის გზით უკან დავბრუნდით და ადგილობრივი მოსახლეობა გამოვიყოლეთ. სვანეთის უღელტეხილზე გადმოსვლას 7 დღე-ღამე მოვუნდით. ჯერ ქუთაისში გადმოვედით და შემდეგ თბილისში. ჩვენმა გამგეობამ, თბილისში ავტობუსი დაგვახვედრა და გამგებლის კაბინეტში მიგვიყვანა. მაშინ მცირედი დახმარება გაგვიწიეს, თუმცა მას მერე აღარავის ვახსოვართ. მთავრობისგან არც რაიმე სახის შეღავათი გვაქვს, არც დახმარება და თქვენ წარმოიდგინეთ, იმის გამო, რომ ბაჩუკი გონაშვილმა ოფიციალურად არ დაგვაფიქსირა, ამ დრომდე ვეტერანის სტატუსიც კი არ გვაქვს.

**— მაგ ფაქტის შემდეგ, საკმაოდ დიდი დრო გავიდა, ამდენი ხანი რატომ არაფერს ამბობდით?**

— მანამდე, ასე თუ ისე, არ გამჭირვებია, ახლა კი მეუღლე ცუდად მყავს, სასწრაფოდ ესაჭიროება ოპერაცია. პირველად ავთო ლეკაშვილთან მივედი, იმხელა საქმე მქონდა მისთვის გაკეთებული, მეგონა გვერდით დამიდგებოდა და ცოტა მაინც წამეხმარებოდა, მაგრამ მოვტყუვდი. მისი ფინანსური მდგომარეობა არცთუ ისე მწირია, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, დეპუტატმა უარით გამომისტუმრა. არადა ოპერაცია 1 400 ლარამდე ჯდება. ავთო ლეკაშვილისთვის, სიცოცხლე არ დავიშურე და მან ვერაფერი გაიმეტა, უარი მომახალა, გამგებელთან წადიო.

**— როგორც ვიცით, გამგეობის ძველი ხელმძღვანელობის ცოდვების გამოსწორება ახალმა ხელმძღვანელობამ სცადა და სტატუსის მისაღებად დახმარება აღმოგიჩინათ...**

— ძალიან მადლიერი ვარ ლევან ბაღაშვილის. როგორც კი გაიგო, რომ 11 კაცი დღემდე ომის მონაწილის სტატუსის გარეშე ვიყავით დარჩენილები, სასწრაფოდ ტრანსპორტი და საწვავი გამოყო და ახლა თელავში დავდივართ ხოლმე. ლევან ბაღაშვილისა და გამგეობის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის დახმარებით, სტატუსს სულ მალე მივიღებთ. თუმცა, ეს რაიმე სახის დახმარების დანიშვნას სულაც არ ითვალისწინებს. უბრალოდ, ომში მონაწილის სტატუსს, რომელიც ბაჩუკი გონაშვილის და სხვათა უნიათობის წყალობით დღემდე არ გვქონდა, ახლა სულ მალე მივიღებთ.

ძალიან გამიჭირდა. მეუღლე, როგორც ვთქვი, საოპერაციო მყავს, შესაძლოა სიმსივნეში გადაეზარდოს. 13 წლის შვილი გვყავს. არსად ვმუშაობ. სეზონზე კომბაინერებს ვეხმარები ხოლმე და ეგაა ჩემი ოჯახის მარჩენალი, დანარჩენი მთელი წელი, უმუშევრად ვარ და ვერაფერს ვახერხებ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ბაჩუკი გონაშვილსაც დავუკავშირდით.

**ბაჩუკი გონაშვილი:** „— რა ნომრის ავტომატები დავურიგე, იარაღის ნომრებიც კი აღრიცხულია და გამგეობაში იანა იანვარაშვილთან იქნება დაფიქსირებული. ომის შემდეგ, თითოეული მებრძოლის ოჯახს ორგანიზაციები ჰყავდა მიმაგრებული, რომ ფქვილი, შეშა და პროდუქტები არ მოკლებოდათ. მაშინ ქვეყანაში ქაოსი იყო, კომისარიატს მობილიზაციის უნარი არ ჰქონდა და ვერ აღრიცხა. სხვა, მე რა შემეძლო გამეკეთებინა?.. მე როგორც გამგებელს, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. ისინი ნამდვილად გმირები არიან. როცა ვაცილებდით, კომისარიც დაესწრო და ნახა ვინ წავიდნენ, მაგრამ რატომღაც ოფიციალურად არ გააფორმა.

თემურ ქენქაძის ბრალდებების შემდეგ, მაჟორიტარ დეპუტატს ავთანდილ ლეკაშვილსაც ვესაუბრეთ. პარლამენტარი ამბობს, რომ ქენქაძეს საკუთარი ჯიბიდანაც დახმარებია, მაგრამ ის უმადურია და ამას ვერ ხედავს. ლეკაშვილი მიიჩნევს, რომ მათთვის ყურადღება სულაც არ მოუკლია. ქენქაძე კი აცხადებს, რომ პარლამენტარის განცხადება, თითქოს ლეკაშვილი საკუთარი ჯიბიდანაც ეხმარებოდა, სიცრუეა.

**ილია მარტყოფლიშვილი,**
**კახეთიდან**

საბანკო სექტორი

# „დაფარული რეზერვების“ მოსაძიებლად

**როცა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე მასმედიის წარმომადგენელთა თანდასწრებით აცხადებს, რომ ამა თუ იმ ახალ სამშენებლო, განებავთ საწარმო, ან მომსახურების ობიექტზე ორმოცდაათი კაცი დასაქმდება, რაც „ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს“, ეს უდავოდ იმის დამადასტურებელია, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონე არა სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის სპეციალისტების დაფიქსირებული 17 პროცენტია, არამედ, გაცილებით მეტი.**

სადღეისოდ საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონის თაობაზე თუნდაც იმით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ქვეყანაში თითებზე ჩამოსათვლელი მსხვილი და ასამდე საშუალო საწარმოა, უმეტეს ნაწილს კი წვრილ-წვრილი საამქროები შეადგენენ, რომლებიც, მოქმედი და ახლო მომავალში ასამოქმედებელი საგადასახადო კანონმდებლობის პირობებში, სულს ლაფავენ, მათი პატრონები კი საგადასახადო ინსპექტორის ვიზიტის მოლოდინში, მუდმივ შიშში არიან.

უმუშევრობის მაღალი დონისა და მოსახლეობის საყოველთაო სიდუხჭირის უტყუარი ინდიკატორია ასევე ოთხმილიონიანი საქართველოდან საზღვარგარეთ ბოლო წლებში წასულ ჩვენ თანამემამულეთა რიცხვი, რომელთა შესახებ პირდაპირი უტყუარი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, მაგრამ სხვადასხვა მინიშნებებისდა მიხედვით დაახლოებით მაინც ვიცით, რომ მათი რიცხოვნობა მილიონ კაცს აჭარბებს. ფაქტობრივად, საზღვარგარეთ ქვეყნის ყოველი მეოთხე მოქალაქეა წასული უკეთესი ცხოვრების საძებნელად. არავის ეგონოს, თითქოს იმის თქმა მინდა, რომ ეს ერთი მილიონი კაცი, ასე ვთქვათ, ერთგვაროვან მასას წარმოადგენს. იგი საკმაოდ მრავალფეროვანია, ჭრელი თავისი შემადგენლობით — აქ არიან უმაღლესი განათლების მისაღებად წასული ახალგაზრდები, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერულ, სამკურნალო თუ სასწავლო ცენტრებში უდიდესი წარმატებით მომუშავე მეცნიერები, სპორტსმენები, ასევე კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა მაინც ოჯახის შესანახად ლუკმაპურის საშოვნელად წასული ხალხია, რომელიც სარჩოს ხშირად ძალიან მძიმე შრომის საფასურად შოულობს. წლების მანძილზე საქართველოდან წასული ადამიანები თავიანთ ოჯახებს საარსებო სახსრებს უგზავნიან, ვისაც რისი შესაძლებლობა აქვს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ამ გზით ქვეყანაში, ოფიციალურად, ანუ ამა თუ იმ სახეობის ანგარიშს დაქვემდებარებული, საკმაოდ სოლიდური თანხა, **80 მილიონი** ლარი შემოდის. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა, თუ რა გზებით აღწევს ფულადი სახსრები ადრესატებამდე.



საქართველოს სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის ექსპერტის დავით ნარმანიას განცხადებით, ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნახევარზე მეტი ხალხს, კომერციული ბანკების გვერდის ავლით, ხელზე ჩამოაქვს. მნიშვნელოვანი ნაწილი სწრაფი ფულადი გზავნილებით მოდის (დაახლოებით 30 პროცენტიძ დანიშნულების ადგილზე და არც ის რჩება საბანკო ანგარიშებზე. რაც შეეხება იმ სახსრებს, რომელთა დათვლა საერთოდ შეუძლებელია, ე.წ. „შავი ფული“, ექსპერტის აზრით, ისიც დაახლოებით 80 მილიონ ლარს შეადგენს და, ცხადია, საბანკო სექტორს მიღმა რჩება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისი გამოკვლევა ჩაატარა, რომელმაც მსგავსი დასკვნა გამოიტანა: **ქვეყნის მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა უცხოეთიდან მიღებულ ფულს საბანკო ანგარიშებზე კი არა, სახლში ინახავს და ამას მოსახლეობის მიერ არა კომერციული ბანკების მიმართ უნდობლობით ან ფისკალური ზეწოლის შიშით, არამედ საბანკო პროცედურების უცოდინრობით ხსნიან.**

როგორც ჩანს, ესაა ის მიზეზი, რომლის გამო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა საქართველოს კომერციულ ბანკებს სათანადო სამოქმედო გეგმა შესთავაზა, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყანაში უცხოეთიდან შემოსული უცხოური ვალუტის ნაწილის მაინც საბანკო ანგარიშებზე განთავსებას. ევროპელი ექსპერტების განცხადებით, მხედველობაში აქვთ **საქართველოს კომერციული ბანკების მიერ მარკეტინგული ღონისძიებების უფრო აქტიურად ჩატარება, რამაც იქ განთავსებულ დეპოზიტებზე სახსრების ოდენობის გაზრდასა და აქტივების მატებას უნდა შეუწყოს ხელი, რითაც ეკონომიკის დასაკრედიტებლად დამატებითი რესურსები მიიზიდება.**

საბანკო სფეროს ქართველ ექსპერტთა აზრით, ამ პროცესის გასააქტიურებლად მიგრანტთათვის, ვინც უცხოეთიდან საქართველოში ახლობლებს ფულს უგზავნის, საჭიროა სხვადასხვა სახეობის კონკურენტუნარიანი მომსახურებისა და საბანკო პროდუქტების შეთავაზება, ვთქვათ, მოკლევადიანი დეპოზიტების, რაც ბანკებს, კრედიტების სახით გასაცემ გარკვეულწილად „დაფარულ რეზერვს“ შეუქმნის. ცხადია, მოსახლეობის სახელზე უცხოეთიდან მიღებული ფულის ნაწილს ხალხი მიღებისთანავე ხელზე აიღებს და საჭიროებისამებრ მოიხმარს, მაგრამ რაღაც ნაწილი, კომფორტული და, რაც მთავარია, მომგებიანი მომსახურების პირობებში, გარკვეული, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი ვადის მანძილზე, ისევ საბანკო ანგარიშებზე დარჩეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ამ რეკომენდაციას ჩვენი ექსპერტები დადებითად აფასებენ, თუმცა რამდენად გაიზიარებენ მას ქვეყნის კომერციული ბანკები, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**დავით მერიშვილი.**

SIC!

# აფხაზეთის წარმომადგენლობაში ვინ მიიჩნევს გალელებს მოღალატეებად?!

**ზუგდიდში განთავსებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობაში, სადაც 52-მდე თანამშრომელი მუშაობს, თურმე, ყოველდღიურად ირღვევა ადამიანის უფლებები. „ამ წარმომადგენლობაში მიაჩნიათ, რომ თუ პიროვნება შენზე მაღლა დგას თანამდებობრივად, მას შეუძლია ნებისმიერ დროს მიაყენოს შეურაცხყოფა თანამშრომელს. აქ უხეშად ირღვევა თითოეული თანამშრომლის, საჯარო მოხელის, დევნილის უფლებები“, — აცხადებს ამ წარმომადგენლობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილი მთავარი სპეციალისტი ნონა უბილავა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ამ წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ზაალ ხურცილავამ (ხელმძღვანელი თორნიკე კილანავა ავარიაში მოჰყვა და საავადმყოფოში მკურნალობს) თანამდებობიდან გაათავისუფლა. თუმცა, ნონა უბილავას დაპირისპირება ჰქონდა არა ხურცილავასთან, არამედ ხელმძღვანელის მოადგილე გელა კილასონიასთან.**

**„სიმართლე რომ გითხრათ, მე მაინც მინდოდა სამსახურიდან წავსულიყავი, რადგანაც კარგად ვხედავ იმ უმსგავსობას, რაც ამ წარმომადგენლობაში სუფევდა. მე ყოველივე ამას ღიად და ხმამაღლა ვამბობდი, ამიტომაც სულ დაპირისპირება მქონდა გელა კილასონიასთან, რომელიც, საერთოდ, უხეშობით გამოირჩევა. მას გალელები არ უყვარს. თვითონ სოხუმელია, მიაჩნია, რომ გალელები და განსაკუთრებით ისინი, რომლებიც გალის რაიონში ამჟამად ცხოვრობენ, მოღალატეები არიან. მეც გალელების გამო დამატოვებინეს სამსახური, კილასონიას შური და დაპირისპირება შეაქვს კოლექტივში“, — განაცხადა ნონა უბილავამ.**

**ნონა უბილავამ, შესაძლოა, სასამართლოში უჩივლოს გელა კილასონიას შეურაცხმყოფელი განცხადების გამო. „ასევე, მე მივმართავ ყველა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, შეისწავლონ ზუგდიდში განთავსებული აფხაზეთის წარმომადგენლობაში არსებული ვითარება. შეუძლებელია გალელებს მოღალატეები უძახო, რომ ვიღაც იყოს ერთმმართველი და რაც მოეპრიანება, ის გააკეთოს“, — დაასკვნა ნონა უბილავამ.**

ლადო ქირია,
ზუგდიდიდან

წარდგენა



# უნიკალური წიგნი

**ახლახანს საქართველოს საზოგადოებრიობამ შესანიშნავი საჩუქარი მიიღო: ქართველ თავადთა და აზნაურთა საკრებულოს გამგეობის მეცადინეობით გამოიცა უნიკალური ნაშრომი „საქართველოს თავადაზნაურობა“ (I წიგნიძ. მისი მთავარი რედაქტორია ია ბაგრატიონ-მუხრანელი. მიეძღვნა საქართველოს ეკლესიის მესაჭეს, ქართველთა სულიერ მამას, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.**

**ამ მაღალი პოლიგრაფიული დონის აკადემიურ გამოცემაში მოთავსებულია უნიკალური მასალები ქართველ მეფეთა ცხოვრებიდან, თავადაზნაურთა გმირობისა და თავგანწირვის ისტორიები, ფოტოდოკუმენტები საოჯახო და სახელმწიფო არქივებიდან, საგვარეულო გერბები, ჩანახატები და ნარკვევები წარჩინებულ გვარებზე (I ტომში ნარკვევებია 35 გვარზეძ, ასახულია ქვეყნის და ერის, ქართული ეთნოსის, საგვარეულოების ჩამოყალიბების გენეზისი.**

**წიგნის ავტორები არიან აკადემიკოსები: მზია ანდრონიკაშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, პროფესორები: გია ანჩაბაძე, მანანა ვაზაშვილი, ზურაბ რატიანი, საგვარეულოების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, მეცნიერები, მხატვრები (მთავარი მხატვარი გიორგი წერეთელიძ, დიმიტრი ერისთავი, გურამ დოლიძე და სხვანი. მათ შექმნეს ღირსების, თავდადების, თავგანწირვის მატიანე, რომელშიც ნათლად არის ასახული ქართველი ერის მუდმივი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, რწმენის სიმტკიცე მართლმადიდებლობის, სამშობლოს, ტრადიციების დასაცავად.**

**„საქართველოს თავადაზნაურებში“ ნათლად არის გადმოცემული ისტორიული პროცესების სიდიადე, სიამაყე წინაპართა თავდადების გამო. ვიზუალური მასალა ნათლად აგრძელებს ნარკვევების ლაიტმოტივს ჩვენი ერის ღირსების, გმირობის, რაინდობის შესახებ, წარსულიდან მომავალში გამოჭიმული ღვთაებრივი ჯაჭვის სიმტკიცეს.**

**ყველა მასალა ანოტირებულია რუსულ და ინგლისურ ენებზე.**

**წიგნის ყდაზე გამოტანილია ილია ჭავჭავაძის, პავლე ინგოროყვას, კოტე აფხაზის სიტყვები ბაგრატოვანთა დინასტიის ღირსებაზე, სამღვდელოების, თავადაზნაურობის როლზე ერის ზნეობრივ აღზრდაში, ქვეყნის გამთლიანებაში.**

**„ჩვენს ვინაობას ჩვენს ცხოვრებაში უსათუოდ გზა უნდა მიეცეს და ამაზე თავადაზნაურთა კრებამ თავის ხმა უნდა ამოიღოს. ხმა კანონიერი, დინჯი, დარბაისელი და მშვიდობიანი“, — ბრძანებდა ილია მართალი მოწამეობრივი სიკვდილის წინ და ერის მოაზროვნე ნაწილს მოუწოდებდა დაეცვა გენეტიკური კოდის თვითმყოფადობა, თავგანწირვის და თავდადების ტრადიციები, ქვეყნის ერთიანობა, ენის, კულტურული მემკვიდრეების უნიკალურობა. ილია ჭავჭავაძის საკრალური ტრიადა: „მამული, ენა, სარწმუნოება“ იყო ქვაკუთხედი თავადაზნაურთა საკრებულოს საქმიანობისა დღიდან აღდგენისა 1990 წლის 23 ნოემბრიდან.**

**სწორედ მაშინ ჩაისახა ამ წიგნის დაბადების იდეა, რომელიც ხოციელად აღსრულდა 20 წლის შემდეგ, ავტორთა ჯგუფის — ლიპარტიანთა საგვარეულოს წარმომადგენლების — ძმების: ვახტანგის, თენგიზისა და ალექსანდრეს ფინანსური მხარდაჭერით.**

**წიგნის წარდგენა მოხდა საპატრიარქოში უძველესი გვარების შთამომავლების, სამღვდელოების, მონარქისტული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით. მოისმინეს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვა. მან განსაკუთრებული სითბო გამოამჟღავნა საკრებულოს უხუცესი წევრის ქ-ნ ელენე აბაშიძის, ვიცე-წინამძღოლის ია ბაგრატიონ მუხრანელის, მუსიკოსების როდამ ჯანდიერის, ვახტანგ ჟორდანიას, ალეკო ხომერიკის და მისი ახალგაზრდა მოწაფის ირაკლი კახიძის, ასევე რომა რცხილაძის მიმართ. კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II და მეუფე თადეოზმა აღნიშნეს წიგნის „საქართველოს თავადაზნაურობა“ მნიშვნელობა, მხატვრული დახვეწილობა, ჟანრობრივი მრავალფეროვნება.**

**ამაღლებული საღამოს დასასრულ უწმინდესმა და უნეტარესმა ბრძანა: “ბაგრატიონებს, საქართველოს თავადაზნაურობას ჯერ არ უთქვამთ საბოლოო სიტყვა. ჩვენ ველით იმ ბედნიერ ჟამს, როცა განხორციელდება ყველა ჩანაფიქრი, მათ შორის საგვარეულო მუზეუმის შექმნისა. მომავალი მუზეუმისათვის საქართველოს პატრიარქმა თავადაზნაურობას გადასცა უნიკალური ნაკეთობა.**

**წიგნის პრეზენტაცია საპატრიარქოში დასრულდა ორიგინალური, ამაღლებული, ღვთაებრივი ჰიმნით „ავე-მარია“, რომლის ავტორიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია.**

**მამია ალაშვილი.**
ავტორის ფოტო

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# „სააკაშვილი საზოგადოებას ბუნტზე იწვევს“

***იმასთან დაკავშირებით, რომ 12 ოქტომბერს გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის მიერ კონსტიტუციის ახალი რედაქციის დამტკიცება, რომელიც აძლიერებს პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტს, ქვეყანაში სულ უფრო აქტიური ხდება ოპოზიცია. მისი ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი ამ კვირას მოსკოვში გამართავს მოლაპარაკებას რუს პოლიტიკოსებთან და ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. ბევრ ოპოზიციონერს მიაჩნია, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კონსტიტუციას ცვლის იმისთვის, რომ 2013 წელს უფლებამოსილებათა გასვლის შემდეგ ჩაუდგეს მთავრობას სათავეში და ხანგრძლივად დარჩეს ხელისუფლებაში.***

***ხელისუფლების ერთ-ერთმა ყველაზე შეურიგებელმა კრიტიკოსმა, 52 წლის შალვა ნათელაშვილმა ამ დღეებში სარჩელი საქართველოს ლიდერის წინააღმდეგ შეიტანა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში ჰააგაში. მან ჩვენი გაზეთის რედაქციას უამბო, თუ რატომ აყენებს საკითხს სააკაშვილის დაპატიმრების შესახებ.***

– ჩვენ მოვითხოვთ, რომ სააკაშვილი მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში სამხედრო დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებებისთვის. ჰააგამ უნდა დაიწყოს ოფიციალური პროცედურები ამასთან დაკავშირებით. ჩვენს სარჩელში ათობით ეპიზოდია, რომლებიც სათავეს იღებენ საჰაერო-სადესანტო ჯარების გამოყენებიდან, რომელიც მოხდა სახელმწიფოს მეთაურის პირდაპირი მითითებით 2004 წელს მესტიის რაიონში აფრასიძეების ოჯახის წინააღმდეგ, რომელიც გამოაცხადეს კრიმინალურ ავტორიტეტად. ამ ოპერაციის დროს დაიღუპა ხალხი, ზოგიერთი იქაური მცხოვრები კი შიშით ჭკუიდან შეიშალა ანდა უსახლკაროდ დარჩა. დასკვნითი ეპიზოდი სარჩელში – ეს არის 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ქალაქ ცხინვალზე თავდასხმა. არის სააკაშვილის გადაყენების ორი გზა. პირველი – მისი გადაყენება, თუმცა, მე ამის წინააღმდეგი ვარ. მეორე – საერთაშორისო დაპატიმრება.

***– რატომ არის ასეთი წინააღმდეგი ოპოზიცია კონსტიტუციის ახალ ვარიანტთან დაკავშირებით? სააკაშვილი, სავალდებულო ხომ არ არის, რომ დარჩეს ხელისუფლებაში.***

– დარჩება, როდესაც იურიდიულად გააფორმებს დიქტატურას. ექნება სუპერპრემიერული უფლებამოსილება. იმის იმედი, რომ სააკაშვილი მშვიდობიანად წავა 2013 წელს, მკვდარია. პრეზიდენტი კი გახდება ვინმე მისი გარემოცვიდან ანდა ვინმე ყალბი ოპოზიციიდან. ჩვენ იმედი გვაქვს საერთაშორისო მართლმსაჯულებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში სააკაშვილი გამოიწვევს საზოგადოებას გადატრიალებისა და სამოქალაქო ომისთვის. შემდეგ კი ამაში ბრალს დასდებს რუსეთის აგენტურას. აი, რა უნდა მას! თავად კი გაიქცევა თავისი თვითმფრინავით.

***– ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ საკონსტიტუციო რეფორმა – „ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა გარდაქმნების თვალსაზრისით საქართველოში. ნუთუ ამერიკელები ვერ ამჩნევენ იმას, რასაც თქვენ ხედავთ, – დემოკრატიის საფრთხეს?***

– ისინი ვერ ხედავენ, რომ აქ არის დიქტატორი, ვინაიდან ის მათი მოკავშირეა, რომელიც ასრულებს ყველა მათ სურვილს. ხოლო ის, თუ რას უკეთებს იგი ქვეყანას, მათ დიდად არ აღელვებთ. რაც შეეხება საქართველოს სამთავრობო ელიტას, მას ჰქონდა და დარჩა მონური ფსიქოლოგია. მხოლოდ ადრე ყველაფერი კეთდებოდა მოსკოვის მითითებით, ამჟამად – ვაშინგტონის მითითებით. კრემლი შეცვალეს თეთრი სახლით, გაზეთი „პრავდა“ – გაზეთ „ვაშინგტონ პოსტით“.

***– თქვენ მოითხოვთ საქართველოს სამხედროების გამოყვანას ავღანეთიდან, ნატო კი მადლობას უხდის ქართველებს ამ ოპერაციაში მონაწილეობისთვის.***

– ეს უცხო ომია. ვინც დაიწყო, მანვე გააგრძელოს. ამას გარდა, საქართველო უნდა დატოვოს რუსეთის ჯარებმა, ჩვენ არ უნდა შევიდეთ არც ნატოში, არც ღსთში. დაე, სხვა იმპერიებმა ითამაშონ სხვა ტერიტორიებზე, დაე, მოძებნონ თავიანთთვის სტადიონი საქართველოდან მოშორებით.

***– ვარაუდობენ, რომ 25 ნოემბერს საქართველოში მოიწვევენ საყოველთაო-სახალხო კრებას, რომელიც მოითხოვს სააკაშვილის გადადგომას. თქვენ გამოხატეთ სოლიდარობა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისადმი, ვინც ასეთი იდეით გამოდის.***

– მე ახლაც შემიძლია გამოვიყვანო ქუჩებში 200 ათასი მომხრე, მაგრამ ვერაფერს შევცვლი, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები არ ეტყვის სააკაშვილს, რომ იგი წავიდეს. ის პათოლოგიურადაა შეყვარებული ხელისუფლებაზე.

***– 2008 წელს კავკასიაში სამხედრო მოქმედებათა შემდეგ თქვენ პირველმა ქართველ პოლიტიკოსებიდან მოუწოდეთ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა. როგორც სსრ კავშირის საგარეო-საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის კურსდამთავრებულმა...***

– მაპატიეთ, შეგაწყვეტინებთ. მე ორმაგი აგენტი ვარ. მე დავამთავრე აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ლიდერების კურსიც. მაგრამ, საერთოდ, მე მხოლოდ ჩემი ხალხის აგენტი ვარ.

***– შეიძლება ახლა აღვადგინოთ გაწყვეტილი ურთიერთობა მოსკოვსა და თბილისს შორის?***

– ამაზე ოცნებაც არ შეიძლება, სანამ სააკაშვილი თავის ადგილზე იმყოფება.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# რატომ მოითხოვს მოსკოვი ძალის გამოუყენებლობის შესახებ დაბეჯითებით შეთანხმებას?

**მართალია, საქართველოსა და რუსეთს შორის ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა, მაგრამ არსებობს ერთი განსაკუთრებული საკითხი, რომელიც არასოდეს გაქრება დღის წესრიგიდან. რუსეთი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ საქართველომ ხელი მოაწეროს შეთანხმებას შეიარაღებული ძალების გამოუყენებლობის შესახებ**

საქართველოს ხელმძღვანელობა ამაზე უარს აცხადებს, იმეორებს, რომ ხელშეკრულებას უკვე მოეწერა ხელი სარკოზი-მედვედევი-სააკაშვილის შეთანხმების ფარგლებში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც დაიდო 2008 წლის 12 აგვისტოს. მაგრამ რუსი ჩინოვნიკები მიიჩნევენ, რომ საქართველომ უნდა დადოს ასეთი შეთანხმება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რათა ეს გახდეს საფუძველი საქართველო-რუსეთის დიალოგისთვის. რუსეთი ცბიერ თამაშს თამაშობს. მან შესანიშნავად იცის, რომ საქართველო არავის დაესხმის თავს – ამისთვის მას არც სურვილი აქვს, არც შესაძლებლობანი. მოსკოვს, უბრალოდ, უნდა ორი კურდღელი მოკლას ერთბაშად – ჯერ ერთი, ის კვლავ გააგრძელებს პროპაგანდისტულ განცხადებებს საქართველოს აგრესიულობის შესახებ, მეორეც, მას ესმის, რომ ამგვარი შეთანხმება იქნებოდა იმის ნიშანი, რომ საქართველო ირიბად აღიარებს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობას. საქართველოს პოზიცია, თავის მხრივ, ცხადია – შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რუსეთთან უკვე ხელმოწერილია, ნებისმიერი დამატებითი შეთანხმებანი შეიძლება დაიდოს მხოლოდ რუსეთსა და საქართველოს შორის, რომლებიც იურიდიულად კონფლიქტის მხარეებად ითვლებიან. ამას გარდა, ამჟამად საქართველოს არ სურს დადოს ამგვარი შეთანხმებანი რუსეთთან, ვინაიდან რუსეთი ძველებურად ახდენს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას. უწინარეს ყოვლისა, უნდა შესრულდეს სარკოზი-მედვედევი-სააკაშვილის შეთანხმება, როგორც ამის შესახებ მოილაპარაკეს ორივე მხარემ – რუსეთმა და საქართველომ, – ეს პირობა კი მათთვის ადრევე იყო ცნობილი.

ქართველი ანალიტიკოსები ამ ჩიხიდან გამოსვლის რამდენიმე ვარიანტს ვარაუდობენ. მაგალითად, ანალიტიკოსი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა მოითხოვოს, რათა რუსეთმა ხელი მოაწეროს ასეთსავე შეთანხმებებს ჩეჩნეთთან და კავკასიის სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებთან. მისი კოლეგა პაატა ზაქარეიშვილი საქართველოს პარლამენტს სთავაზობს მიიღოს რეზოლუცია ძალის გამოუყენებლობის შესახებ საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, მაგრამ, მისი აზრით, ეს შეთანხმება ძალაში უნდა შევიდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარები გავლენ საქართველოს ტერიტორიიდან.

ეს იდეები, როგორც სხვა დანარჩენებიც, იმსახურებენ განხილვას, მაგრამ ძნელად სავარაუდოა, რომ რუსი იმპერიალისტები მოუსმენენ ჯანსაღ აზრს და გავლენ საქართველოდან.

The Messenger

# ცივი ომი და ლითონის ფული

**ზუსტად ისე, როგორც ერთ სიმღერაშია, საქართველო კვლავ და კვლავ აღელვებს ჩვენს გეოპოლიტიკურ გონებას (მინიშნებაა რეი ჩარლზის სიმღერაზე „ჯორჯია ონ მაი მინდ“). 2008 წელს მას ომი ჰქონდა რუსეთთან. 2009 წელს სიმშვიდე იყო – იგი აღდგა, მაგრამ 2010 წელს მის შესახებ კვლავ გაიხსენეს**

შავიზღვისპირა სახელმწიფო მიმდინარე წელს მთლიანი საშინაო პროდუქტის 5-6 პროცენტით ზრდას ელოდება, რომელსაც შემდეგ წელს უნდა მოჰყვეს 4,5 პროცენტით ზრდა – და ამავე დროს მათ მკაცრად აქვთ განსაზღვრული, დაიცვან დისტანცია რუსეთისგან.



„2009 წელი მძიმე იყო, მაგრამ ჩვენ თანდათან აღვადგენთ ეკონომიკას“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკოლოზ გილაურმა ჩვენთან ექსკლუზიურ ინტერვიუში.

გილაურის სიტყვებით, 2010 წლის პირველი ექვსი თვის შედეგები განსაკუთრებით შთამბეჭდავია, მას ახასიათებს 6,5 პროცენტით ზრდა. ძირითადი მამოძრავებელი ძალები ზრდისა იყო ტურიზმი, საბანკო სფერო და ექსპორტი – ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა.

ქვეყნის წარმატება შეუმჩნეველი როდია. გილაურის სიტყვებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ასევე გაიზარდა, რაც აღმოსავლეთ ევროპასა და დასავლეთ აზიას შორის მყოფ ქვეყანას აქცევს რეგიონალურ საინვესტიციო ცენტრად. ვარაუდობენ, რომ 2010 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მიაღწევს 750 მილიონ დოლარს. საქართველოში ჩამოსულ უცხოელთა რიცხვი წელს შარშანდელთან შედარებით 40 პროცენტით გაიზარდა, ამტკიცებს გილაური. ის აცხადებს, რომ ბიზნესმენებსა და ტურისტებს სჯერათ ქვეყანაში დამკვიდრებული სტაბილურობისა.

საქართთველოსთვის ეკონომიკური წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორი, ისევე როგორც მეზობელი თურქეთისა და არცთუ შორეული ბულგარეთისთვის, არის სანავთობო დამოუკიდებლობა. ბულგარეთს 2009 წელს ძვირად დაუჯდა გაკვეთილი, როდესაც ძირითადმა დავებმა უკრაინასა და რუსეთს შორის გამოიწვია ორკვირიანი შეფერხება მიწოდებაში.

„ჩვენ დამოკიდებული ვიყავით ერთ წყაროზე – რუსეთზე“, – განაცხადა გილაურმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა გაზითა და ელექტროენერგიით მომარაგების საკითხებს. ამჟამად, მისი სიტყვებით, საქართველო არის გაზისა და ენერგომომარაგების რეგიონალური კვანძი. „გაზი გადის ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან სამხრეთში და აღმოსავლეთიდან დასავლეთში“.

ნავთობი ასევე საქართველოს გავლით მოდის. გილაურის სიტყვებით, მთელი მსოფლიოს მიერ მოხმარებული ნავთობის თითქმის 1,5 პროცენტი გადის საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს გეგმებს ენერგიით მომარაგების საკითხში აქვს სამი ასპექტი და ითვალისწინებს დახმარებას მეგობარი რეგიონალური სახელმწიფოების მხრიდან. ჯერ ერთი, საქართველო ითანამშრომლებს ბულგარეთთან აზერბაიჯანის გაზის შესყიდვასთან დაკავშირებით, რომელიც გადაკვეთავს საქართველოს ტერიტორიას მილსადენებით, შემდეგ კი წავა ტანკერებით შავი ზღვით. მეორეც, ბულგარეთს შეუძლია აგრეთვე შეისყიდოს აზერბაიჯანის გაზი, რომელიც თურქეთს გაივლის, მას შემდეგ, რაც ორივე ბალკანური ქვეყანა შეაერთებენ თავიანთ საგაზო ქსელს 47 მილიანი ნავთობსადენით, რაც უზრუნველყოფს საქართველოს კიდევ ერთი სათბობის წყაროთი. დაბოლოს, ბალკანეთის ქვეყნებს შეუძლიათ მოითხოვონ აზერბაიჯანის თხევადი გაზის ტრანსპორტირება საქართველოს და შავი ზღვის გავლით რუმინეთისა და ბულგარეთის მიმართულებით.

გილაურის სიტყვებით, ჯერჯერობით მოლაპარაკება ბულგარეთთან მიდის კარგად და მას იმედი აქვს, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში ქვეყნები დაიწყებენ თავიანთი ენერგეტიკული გეგმების განხორციელებას.

ეკონომიკური რეფორმები საქართველოში მიმდინარეობს, მიუხედავად მეზობელ რუსეთთან მზარდი დაძაბულობისა. ამჯერად ასეთი დაძაბულობის საბაბი გახდა რუსეთის მცდელობა, შევიდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. მართალია, ქართველი ჩინოვნიკები აცხადებდნენ, რომ ოფიციალურად ისინი არ ეწინააღმდეგებიან რუსეთის შესვლას აღნიშნულ ორგანიზაციაში, ქვეყანამ დაიკავა მკაცრი პოზიცია: რუსეთმა უნდა დაიცვას თამაშის წესები, ანდა, საერთოდ, შეწყვიტოს თამაში.

CNBC

## დედამიწის ზურგზე



**ყირიმის სანაპიროზე სატვირთო გემი ჩაიძირა**

მთლიანად გემ „ვასილიზე“ 12-13 კაცი იმყოფებოდა, ესენი იყვნენ რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის მოქალაქეები. ამ დროისთვის ცნობილია, რომ გადარჩა 8 კაცი, დანარჩენები ითვლებიან უგზოუკვლოდ დაკარგულებად. გემს ჯართი ოდესიდან საქართველოში გადაჰქონდა.

**ტურისტების კოსმოსურმა ხომალდმა პირველი დამოუკიდებელი ფრენა შეასრულა**



„SpaceShipTwo“ აფრინდა მზიდი ხომალდით 13 ათასი მეტრის სიმაღლეზე და მას გამოეთიშა მოხავის უდაბნოს თავზე კალიფორნიის შტატში. ამის შემდეგ, ხომალდი, რომელსაც ორი პილოტი მართავდა, გაფრინდა ძრავების გამოურთავად, 11 წუთი იფრინა და დაეშვა აეროდრომზე. მთლიანად ცდამ დაახლოებით 25 წუთი დაიკავა.

**რუსეთთან კონფლიქტის შემდეგ ლუკაშენკო ფულის საძებნელად ჩინეთს გაემგზავრა**



ორშაბათს ბელარუსის ლიდერმა მოლაპარაკება გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ხუ ძინტაოსთან. მან აშკარად განაცხადა, რომ ჩამოვიდა ეკონომიკური დახმარებისთვის. ინვესტიციების სანაცვლოდ ის დაპირდა, რომ მხარს დაუჭერს პეკინის პოლიტიკურ მოქმედებებს და ბელარუსში შექმნის „ჩინურ კუნძულს“.

**ავღანეთის პრეზიდენტმა აღიარა, რომ აწარმოებს მოლაპარაკებას თალიბებთან**



ჰამიდ კარზაიმ განაცხადა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მართლაც აწარმოებენ მოლაპარაკებას რადიკალური მოძრაობა „თალიბანის“ ლიდერებთან, რათა მიაღწიოს მშვიდობას ქვეყანაში, მაგრამ ოფიციალურად ამ მოლაპარაკების აღიარება არ შეიძლება.

**ბელგრადში გეი-აღლუმის მოწინააღმდეგებმა ქვები დაუშინეს პოლიციას: 110 კაცი დაიჭრა**

საპასუხოდ პოლიციელებმა გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი. აგრესიულად განწყობილმა ახალგაზრდობამ დაარბია ავტომობილების პარკი და საგზაო ნიშნები. უწესრიგობებში მონაწილეობისთვის პოლიციელებმა ათი კაცი დააკავეს.



## ჩვენი ბიბლიოთეკა

მოგვი ამასობაში ჯერეთ ისევ გულისხმისყოფის სხვა ხარისხის მდგომარეობაში იყო. და დიახაც ამ ხარისხის წყალობით არჩევდა, რა გამალებით ეცვლებოდა ბრიდას აურის ფერი, რომელიც სულ უფრო უახლოვდებოდა უიკას მიერ შერჩეულ ფერს. ყმაწვილქალმა მოილხინა, ცათაფრენა შეუდგა ამ კაცის მოსვლით გახარებულს, და ახლა იმის ერთ ნაჩქარევ სიტყვას თუ მოქმედებას იქნებ სულაც ჩაემწარებინა თავისი სხვა ნაწილისთვის ამაღამდელი ხელდასხმა. და ამიტომ, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, თავშეკავება მართებდა ამ ორ ცეცხლს შუა მოქცეულ კაცს.

– ვიცნობდეთ, – უთხრა მან ლორენსს. – ღვინით ხომ არ გამიმასპინძლდებოდით?

ლორენსმა გაუღიმა და ბოთლი გაუწოდა:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. დიდებული ზეიმი გამოვიდა, მოგეწონებათ.

შიკამ გვერდზე გაიხედა და შვებით ამოისუნთქა – ბრიდა გულისხმაში ვერ ჩავარდა, ვერაფერს ალღო ვერ აართვა. ის ბეჯითი, მოცადი მოწაფე იყო – მოძღვარს არ უნდოდა, რომ იმისი დღევანდელი ხელდასხმა მხოლოდ იმიტომ ჩაეშალა, რაკი მან სულ უბრალო ნაბიჯი ვერ გადადგა: სხვათა მხიარულებას ვერ შეეზიარა.

„მოგვი კი თვითონ მოუვლის თავის თავს“. დიდად ნაჯაფარი და მკაცრ წესრიგს მიჩვეული კაცია. თავის გრძნობის დამორჩილებასაც შეძლებს და ალაგმვასაც – ყოველ შემთხვევაში, იმ ვადით მაინც, სანამ იმის ადგილას სხვა არ მოვა. უიკა პატივს მიაგებდა მოგვს თავისი მუყაითობისა და თითქმის გიჟური შეუდრეკელობისთვის, და, ცოტა არ იყოს, შიშსაც კი ჰგვრიდა იმისი გაუგონარი შემძლებლობა.

... სტუმრები ერთმანეთში ირეოდნენ. უიკა ხან ვის ელაპარაკებოდა, ხან ვის, მაგრამ თავი მაინც ვერ დააღწია იმ გაკვირვებისთვის, უეცრად გაჩენილ გამოცანას რომ გამოეწვია – რა იყო, რატომ უთმობდა მოგვი ამ ყმაწვილქალს ესოდენ ყურადღებას. ის ხომ არცრით უკეთესი და არცრით უარესი არ იყო არავისზე, ვისაც კი მთვარის ტრადიციის წვდომა-შეცნობისას არაერთი გარდასახვა-შეგვამება გამოევლო.

ბრიდას მოგვის სხვა ნაწილის ბეჭედი ესვა.

„არა, მაინც სად იყო ჩემი ყბადაღებული ქალური გუმანი?!“ უიკამ ყველაფერი გაითვალისწინა, მაგრამ ყოვლის უფრო თვალადსაჩენი გამოეპარა. და ახლა თავს იმითღა იმშვიდებდა, რომ ცნობისმოყვარეობამ მაინც ნაყოფიერ შედეგამდე მიიყვანა: თვით ღმერთმა აარჩევინა ეს გზა, რათა თავის მოწაფესთან კვლავ შეხვედრა შესძლებოდა.

მოგვმა მოშორებით ვიღაც ნაცნობი შეამჩნია და ბოდიშის მოხდით გაეცალა ლორენსისა და ბრიდას გარშემო შეკრებილთ. ბრიდას მეცხრე ცაზე ეგონა თავი, რაკი მოგვი გვერდით ეგულებოდა და არცრა წინააღმდეგობა არ გაუწევია, არც სიტყვიერად არ უთქვამს, ნუ წახვალო. ყმაწვილქალს მეექვსე გრძნობით ესმოდა, რომ ლორენსისა და მოგვის მეტისმეტად დიდხანს გვერდიგვერდ ყოფნა საჭირო არ იყო: ვაითუ შემეგობრებულიყვნენ, ორი მამაკაცი კი როცა ერთსა და იმავე არსებას ეტრფის, ბევრად უკეთესია, თუ ერთმანეთს შეიძულებენ და არა იმეგობრებენ. ვინაიდან უკანასკნელ შემთხვევაში ორივეს დაკარგვის დიდი შესაძლებლობა ჩნდება.

ბრიდა ხედავდა, როგორ როკავდნენ ადამიანები კოცონის გარშემო და სული მისდიოდა, სანამ იმათ შეუერთდებოდა. ბევრი აღარ უფიქრია, ხელი ჩაავლო ლორენსს და გაიწვია, მოდი, ჩვენც ვიცეკვოთო, ისიც ცოტა ყოყმანის შემდეგ თანახმა გაუხდა, და გაშალეს ფეხი. ადამიანები თავდავიწყებით ბზრიალ-ტრიალებდნენ, ნებს ნებზე სცემდნენ, ღვინოსა სვამდნენ, ცარიელ ბოთლებზე კლიტე-გასაღებთ არაკუნებდნენ, ტაქტს ითვლიდნენ, ბრიდა ცეკვა-ცეკვაში როგორც კი მოგვის გვერდით აღმოჩნდებოდა ხოლმე, ის უღიმოდა და სასმისს თვალების სიმაღლეზე სწევდა, ვითომ შენს სადღეგრძელოსა ვსვამო. ყმაწვილქალს აღარც ახსოვდა ბოლოს როდის ემხიარულა აგრე თავშეუკავებლად.

უიკა წრეში შევიდა, არცვინ დაძაბული აღარ არის, სუყველა მოლხენილი და კმაყოფილიაო, შენიშნა. თუ წეღან სტუმართ ის აწუხებდათ, რას იფიქრებენ ჩვენზეო, თუ წეღან დააფრთხო კიდეც ისინი ამ სანახაობამ, ახლა ყველანი სულ ერთიანად ამჟამინდელი საღამოს სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალულნი. გაზაფხულის დადგომას ათასი საზრუნავით დაღლილი ადამიანები სადღესასწაულოდ განეწყო, თითოეულის სული იმის რწმენით აღევსო, რომ მალე დათბებოდა და მზიანი დღეები სულ გადაავიწყებდათ ზამთრის უღიმღამო, მოწყენილ დღეებს, ოთხ კედელს შუ გატარებულ მარტოსულ საღამოებს.

ახლა თვით უიკასგან წარმართულ ერთხელ აჩემებულ რიტმს აყოლილი ტაშისცემა სულ უფრო მქუხარდებოდა და კანთიელდებოდა. სუყოველი მზერა კოცონს იყო მიპყრობილი. არცვის ყინვა აღარ აზრობდა – ისე ჩანდა, თითქოს უკვე ნამდვილი ზაფხულიაო, და ადამიანებმა სვიტრების გახდა დაიწყეს.

– სუყველამ ერთად ვიმღეროთ! – განკარგულება გასცა უიკამ.

და ორგზის გაიმეორა სულ ორსტრიქონიანი სტროფის უბრალო რამ მელოდია. მალე ყველანი აჰყვნენ. ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ ეს იყო მანტრა, სადაც მნიშვნელოვანია წარმოთქმულ სიტყვათა ოდენ თვითონ ბგერადობა და არა აზრი. და ეს ბგერადობა თუ ხმიანობა იუწყებოდა სუყოველი მადლის, ანუ ზეგარდმო ბოძებული ნიჭის შერწყმას, და ისინი, ვინც მაგიურ მხედველობას ფლობდა – კოცონთან რამდენიმე მოძღვარი იყო, – ამჩნევდნენ, რარიგ ეხლართებოდათ და უერთდებოდათ მომღერალთ მანათობელი მკედები თუ ძაფები.

ლორენსი ცეკვით დაიღალა, წაიღო თავისი ბოთლი და „მუსიკოსთ“ მიაშურა მისაშველებლად. წრიდან სხვებიც გადიოდნენ: ზოგნი აგრეთვე დაღლილნი, ზოგნიც უიკას თხოვნით, რათა რიტმი გაეძლიერებინათ. არცვის, ხელდასხმულთა გარდა, არ შეუმჩნევია, რომ დღეობა-დღესასწაული თანდათან საკრალურ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. და სულ რამდენიმე წუთში კოცონის ირგვლივ მხოლოდ მთვარის ტრადიციას ზიარებული ქალები და ის ჯადოქარ-კუდიანებიღა დარჩნენ, ვისი ხელდასხმაც დღეს უნდა მომხდარიყო.




ის კი არა, უიკას მოწაფე ვაჟებმაც შეწყვიტეს ცეკვა, რადგან ხელდაუსხმელ კაცთათვის სხვა რიტუალი არსებობდა, რომელიც სხვა დღესა და თვეში იმართებოდა. და ამ წუთას კოცონის თავზე ეტლ-ასტრალში ტრიალებდა ოდენ ქალური ენერგია-ამანი. გარდაქმნა-გადახალისების ენერგია-ამანი. აგრეა უხსოვარი დროიდან.

ბრიდას ძალიან დასცხა. და სულაც არა ღვინისგან – ბევრი არ დაულევია. ალბათ, უფრო კოცონმა უყო. და საშინლად მოუნდა სამოსლის შემოძარცვა. მაგრამ სირცხვილი აჩერებდა – სირცხვილი, რომელიც ყოველგვარ აზრს იმისდა კვალად კარგავდა, რაც უფრო დაჟინებით იმეორებდა იგი უიკას მიერ წამოწყებულ უბრალო რამ ჰანგს, რაც უფრო ნებს ნებზე სცემდა კოცონის ირგვლივ გიჟურად აროკებული. ახლა იგი თვალს არ აცილებდა მოგვს და ეჩვენებოდა, რომ სოფელ-ქვეყანა ნელინელ პატარავდებოდა და კნინდებოდა: ეს შეგრძნება ძალიან ჰგავდა იმჟამინდელს, მაშინ რომ განიცდიდა, როცა ტაროს ბანქომ პირველად გაუმჟღავნა თავისი იდუმალი არსი.

„მგონი ტრანსში შევდივარ, – გაიფიქრა ბრიდამ. – მერე რა? მართლაც მხიარული დღესასწაულია!“

„უცნაური მუსიკაა“, – დუდუნებდა ლორენსი და თან კარგა მოზრდილ ბოცას არაკუნებდა, ტაქტს ითვლიდა. სმენა, რომელიც თავისი სხეულის ხმის გაგონებაზე ჰქონდა გავარჯიშებული, უკარნახებდა, რომ ნების ნებზე რიტმული ცემა და სიტყვათა ბგერადობა ზედ შუაგულმკერდთან გადაეცემოდა, როგორც კლასიკური მუსიკის კონცერტზე მოსდიოდა, როცა დიდი დოლები ახმიანდებოდნენ ხოლმე. საგულისხმო იყო ისიც, რომ ეს რიტმი ზუსტად ემთხვეოდა გულის ძგერას.

და რაც უფრო გამალებით მოძრაობდნენ უიკას ხელები, მით უფრო ხშირდებოდა გულის ძგერა. და, ალბათ, აგრე იყო ყველას თავს.

„ტვინისთვის სისხლის მიწოდება ძლიერდება“, – მეცნიერულად ახსნა ეს ამბავი ლორენსმა. თუმცაღა, ის ახლა ხომ კუდიანთა შაბათობაზეა და რა დროს მეცნიერული ახსნაა; მერმე ბრიდასთან ერთად იმსჯელებს სუყოველ ამ უცნაურობაზე.

– მე დღესასწაულზე მოვედი და მხოლოდ მხიარულება მინდა! – ხმამაღლა შეჰყვირა ლორენსმა.

გვერდით ვიღაცამ კვერი დაუკრა, უიკას ხელებმა კი კიდევ ცოტა ააჩქარეს რიტმი.

„მე თავისუფალი ვარ და ვამაყობ ჩემი ტან-სხეულით, რამეთუ ის ღვთის გამოვლინებაა ხილულ სამყაროში“. კოცონის სიმხურვალე აუტანელი გახდა. სრულიად სოფელ-ქვეყანა სადღაც დასაკარგავში მიეფარა თვალს. და ბრიდას აღარ ესურვილებოდა უმნიშვნელო რამეებზე თავის შეწუხება. რაც მთავარია, ცოცხალია, ძარღვებში სისხლი უჩქეფს, და თავის ძებნა-ძიებას მინდობილია სრულად. კოცონის ირგვლივ როკვა მისთვის ახალი არ არის, იმიტომ რომ ამ რიტუალმა, ნების ნებზე ცემამ, ამ მუსიკამ იმ დრო-ჟამის მთვლემარე მოგონებები გაუღვიძეს, როცა ერთი დროების სიბრძნის მოძღვრობა ჰქონდა ნატვირთი. ის თავხელმარტო არ იყო – ეს დღეობა-დღესასწაული ახალ შეხვედრად ექცა, საკუთარ თავთან და ტრადიციასთან შეხვედრად, რომელი ტრადიციაც მრავალი სიცოცხლისა და განსახიერება-შეგვამების წიაღ გამოეტარებინა. და ბრიდა ღრმა თვითპატივისცემის გრძნობით განიმსჭვალა.

მან კვლავ მოირგო ტანზე სხვა სხეული, კვლავ განსახიერდა მშვენიერ ხორციელ გარსში, რომელიც ათასობით წელიწადი იბრძოდა თავის გადასარჩენად მტრულ სამყაროში. ჯერ იყო და ზღვა-ზღვა უფსკრულებში ცურავდა, მერმე მიწაზე დახოხავდა, ხე-ხე დაძვრებოდა, ოთხით დადიოდა და აწ უკვე ორ ფეხზე შემდგარი დააბიჯებს ხმელ-მყარზე. ეს ტან-სხეული პატივისცემას თუნდაც იმიტომ იმსახურებდა, რომ ამდენი წელიწადი იბრძოდა. სხეულნი არც თვალადნი და სახიერნი არიან, არცა კიდევ გონჯნი, იმიტომ რომ სუყველას ერთი და იგივე გზა აქვს გამოვლილი, და თითოეული მას შიგან დავანებული სულის ოდენ ხილული ნაწილია.

ის ამაყობდა თავისი ტან-სხეულით.

და შემოიძარცვა ბლუზა.

ის ამაყობდა თავისი ტან-სხეულით, და არცვის დედამიწის ზურგზე უფლება არა ჰქონდა, რომ ესაყვედურა, მაგას რასა შვრებიო; გადაყრუებული, ყრანტი დედაბერიც რომ ყოფილიყო, მაინც კვლავინდებურად იამაყებდა თავისი ტან-სხეულით, რამეთუ დიახაც ასო-ტანის წყალობით ძალუძს სულს სასწაულთა მოხდენა.

და სხვა ქალთაც მიბაძეს იმის მაგალითს, სამოსელთან ერთად სირცხვილიც განიძარცვეს.

ბრიდამ აბზინდა გაიხსნა და მთლად შიშველი დარჩა, დედიშობილა. ამწუთას ის თავისუფლების ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, როგორიც ცხოვრებაში ჯერეთ არ განეცადა. განძარცვით კი იმიტომ განიძარცვა, რათა თავისი სიშიშვლით დაემტკიცებინა, რაოდენ თავისუფალ სულსა ფლობდა ახლა. და არცრა მნიშვნელობა არა ჰქონდა, გარშემო ჩაცმული ადამიანები რომ იდგნენ და უცქეროდნენ – აგრე დედიშობილა ოდენ იმის მნდომელი იყო, რომ ამ ადამიანებში თავიანთი ხორცის წიაღ იმავე მოზეიმე გრძნობებს შეეღწიათ, რა გრძნობებსაც ის თავის თავში აღიქვამდა თავისივე ხორცის წიაღ შეღწეულთ. აწ რამდენადაც ინდომებს, იმდენს იცეკვებს, თანაც თავის ნებაზე, თავისუფლად, აღარც ვინმე დამშლელი ეყოლება და აღარც კიდევ რამე შებოჭავს. თავისი ტან-სხეულის თითოეული ატომით ის ახლა სულ ერთიანად მსჭვალავს ჰაერს, რომელ ჰაერსაც იდუმალების წარმოუდგენელი სიშორიდან უხვად მოაქვს და დედიშობილა ყმაწვილქალს თავით ფეხამდე უცხო რამ სურნელში ხვევს.

ქაცებმა და მოწვეულთაგან იმათ, ვინც ბოთლებს არაკუნებდა და ტაქტს ითვლიდა, შეამჩნიეს, რომ ქალებმა კოცონთან სამოსელი განიძარცვეს. გატიტვლებულნი ჯერეთ ტაშსა სცემდნენ, მერმე ერთმანეთს ხელები ჩაჰკიდეს და სიმღერა წამოიწყეს, ხან ნაზად და წყნარად ღიღინებდნენ, ხანაც გამყივარ ხმას ურევდნენ, თითქმის გულის განგმირავად გაჰკიოდნენ. არავინ არ უწყოდა, რა განსაზღვრავდა ამ ცვალებად რიტმს – ბოთლები, მუსიკა თუ ტაშისცემა. არადა ისე ჩანდა, თითქოს ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ თუ ვინმე გაბედავდა და ამ აკვიატებული რიტმიდან თავის დაღწევას შეეცდებოდა, არც არაფერი არ გამოუვიდოდა. და რიტუალის ამ ნაწილში მოძღვრის მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ არცვის მონაწილეთაგან არ ეგრძნო ტრანსში ყოფნა. ყველას უნდა ჰგონებოდა, თავს სრულად ვიკონტროლებო, თუმცა სულაც აგრე არ იყო. და უიკა არ გადადიოდა იმ ერთადერთი კანონის ზღვარს, რომლის დარღვევასაც ტრადიცია საგანგებო სიმკაცრით განიხილავდა, და არასგზით არ ზემოქმედებდა სხვა ადამიანის ნებაზე.

**ქართულად გადმოაენა**
**გურამ გოგიაშვილმა.**

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-166, 168-169, 171-172, 176-177, 180-181, 184-189.

ფეხბურთი

# სჯობს გვიან...



**...შესვენების შემდეგ თემურ ქეცბაიამ ბრძოლაში სამი რაჭველი (იაშვილი, სირაძე, დაუშვილი) ჩააბა და მასპინძლებმა გადამწყვეტი უპირატესობაც მოიპოვეს, რაც მსაჯის მიერ დამატებულ დროში კალაძის ფლანგური ჩაწოდებითა და სირაძის ზუსტი თაურით დაგვირგვინდა — 1:0.**

ეს ნახევრად ხუმრობით, მაგრამ მაშინ, როცა 90 წუთი ამოიწურა, სახუმაროდ ნამდვილად არ გვქონდა საქმე — ამბიციებით დახუნძლული „ჯვაროსნები" საკუთარ მინდორზე ძვირფას ქულებს კარგავდნენ ჯგუფის უპირობო აუტსაიდერებად მიჩნეულ მალტელებთან.

ისე, თუ მცირე ისტორიულ ექსკურსს მოვიშველიებთ, აღმოვაჩენთ, რომ კუნძულელები არც თუ სუსტი მეტოქეები არიან, რადგან ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე თბილისში მსაჯის მიერ ნაჩუქარი პენალტით გადავურჩით — 1:1 (შ. არველაძე), ხოლო შარშან ლა-ვალეტაში 0:2 დავმარცხდით.



რადგან ზემოთ მინდორი ვახსენეთ, დავძენთ, რომ თუ ამასწინანდელ შეხვედრაში ისრაელის გუნდთან პრობლემები ყანად ქცეულმა სარბიელმა შეგვიქმნა (ჩვენებურთა თავკაცის სიტყვებია), ამჯერად თავსატეხი წვიმისგან დამძიმებულმა საფარმა გაგვიჩინა.

რადგან საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა, მოდით, თითოეული გამარჯვებულის ნაკაიკაცარის მოკლე შეფასებით შემოვიფარგლოთ.

*რევიშვილი. გვიხსნა მე-80 წუთზე, როცა მასთან პირისპირ გასულ შემბრის მოუგო დუელი.*

*სალუქვაძე. როგორც ყოველთვის, არც თევზი იყო და არც ხორცი.*

*ასათიანი. დაცვის ბურჯმა ძველი „ასკა" გაგვახსენა, როცა 86-ე წუთზე მეტეორივით ჩაუქროლა სტუმართა ოთხ მოთამაშეს და შეტევაში ჩართულმა რეალური ხიფათი შეუქმნა მათ კარს.*

*ამისულაშვილი. ზედმეტი წონით დამძიმებულს უჭირდა ქურციკივით მოქნილ მიფსუდთან ღირსეულად გამკლავება.*

*კალაძე. ნაკრების კაპიტანმა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მარცხენა ფრთიდან უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია.*

*ანანიძე. ვიდრე დაიღლებოდა, აქტიურობით გამოირჩეოდა.*

*ხიზანიშვილი, კობიაშვილი. მართალია, გამოცდილება მათი კოზირია, მაგრამ საყრდენ ნახევარმცველებს, დაგვეთანხმებით, უკეთესი ფიზიკური კონდიციები მოეთხოვებათ.*

*გოგუა. ეტყობა, ამ დალოცვილს „მოტორი" უდგას. კარგი იქნება, თუ უნივერსალობის გამოსავლენი საშუალება მიეცემა.*

*მერებაშვილი. მისებრ ტექნიკურ თავდამსხმელს ინდივიდუალური ოსტატობის წარმოჩენაში ამინდმა შეუშალა ხელი.*

*დვალიშვილი. ხომ გსმენიათ — ნელი გადაღებაო. მართლაც რომ შესაცვლელი იყო.*

*იაშვილი, სირაძე, დაუშვილი. სწორედ მათ გამოაცოცხლეს თამაში და შეიტანეს გარდატეხა მის ხასიათში.*

* * *

**„ა" ჯგუფი.** გერმანია — თურქეთი 3:0, ყაზახეთი — ბელგია 0:2, ავსტრია — აზერბაიჯანი 3:0.

გერმანია — 9, ავსტრია, თურქეთი — 6-6, ბელგია — 3, ყაზახეთი, აზერბაიჯანი — 0-0 ქულა.

**„ბ" ჯგუფი.** ირლანდია — რუსეთი 2:3, სომხეთი — სლოვაკეთი 3:1, ანდორა — მაკედონია 0:2.

ირლანდია, რუსეთი, სლოვაკეთი — 6-6, სომხეთი, მაკედონია — 4-4, ანდორა — 0 ქულა.

**„გ" ჯგუფი.** სერბეთი — ესტონეთი 1:3, ჩრდ. ირლანდია — იტალია 0:0, სლოვენია — ფარერები 5:1.

იტალია — 7, ესტონეთი — 6, სლოვენია, სერბეთი, ჩრდ. ირლანდია — 4-4, ფარერები — 0 ქულა.

**„დ" ჯგუფი.** ალბანეთი — ბოსნია 1:1, ლუქსემბურგი — ბელარუსი 0:0, საფრანგეთი — რუმინეთი 2:0.

საფრანგეთი — 6, ალბანეთი, ბელარუსი — 5-5, ბოსნია — 4, რუმინეთი — 2, ლუქსემბურგი — 1 ქულა.

**„ე" ჯგუფი.** მოლდოვა — ჰოლანდია 0:1, უნგრეთი — სან-მარინო 8:0.

ჰოლანდია — 9, შვედეთი, უნგრეთი — 6-6, მოლდოვა — 3, ფინეთი, სან-მარინო — 0-0 ქულა.

**„ვ" ჯგუფი.** საქართველო — მალტა 1:0, ისრაელი — ხორვატეთი 1:2, საბერძნეთი — ლატვია 1:0.

ხორვატეთი — 7, საქართველო, საბერძნეთი — 5-5, ისრაელი — 4, ლატვია — 3, მალტა — 0 ქულა.

**დღეს: ლატვია — საქართველო (21 საათი, I არხი).**

**„ზ" ჯგუფი.** ჩერნოგორია — შვეიცარია 1:0, უელსი — ბულგარეთი 0:1.

ჩერნოგორია — 9, ინგლისი — 6, ბულგარეთი — 3, უელსი, შვეიცარია — 0-0 ქულა.

**„თ" ჯგუფი.** პორტუგალია — დანია 3:1, კვიპროსი — ნორვეგია 1:2.

ნორვეგია — 6, პორტუგალია — 4, დანია — 3, კვიპროსი — 1, ისლანდია — 0 ქულა.

**„ი" ჯგუფი.** ესპანეთი — ლიტვა 3:1, ჩეხეთი — შოტლანდია 1:0.

ესპანეთი — 6, შოტლანდია, ლიტვა — 4-4, ჩეხეთი — 3, ლიხტენშტეინი — 0 ქულა.

**გია პლატონიშვილი**

სამბო

# ჩოხოსანთა უხვი ნადავლი

**თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც შესანიშნავად იასპარეზეს მასპინძლებმა. ქართველებმა ტურნირზე ცხრა ოქროს, ამდენივე ბრინჯაოსა და 2 ვერცხლის მედალი დაიმსახურეს.**

ჭაბუკებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლაშა გიუნაშვილი (56კ), გიორგი კაცია (60კ), შმაგი შარიფაშვილი (75კ) და სლავა რეზესიძე (+87კ), რომლებმაც ფინალში, შესაბამისად, რუსლან ბაღდასარიანი (რუსეთი), სიარხეი უშივეცი (ბელარუსი), გიორგი კორელი (რუსეთი) და პაბლო მოხონკო (უკრაინა) დაამარცხეს. მხოლოდ გადამწყვეტი ორთაბრძოლა დათმო რუს კამალ ბაიკულოვთან და „ვერცხლს" დასჯერდა მიხეილ ჩოხელი (70კ). მესამე ადგილებზე გავიდნენ ლერი ჯიხვაშვილი (48კ), ბექა რატიანი (81კ) და ალექსანდრე მილდიანი (87კ).



ახალგაზრდებში ყველა ორთაბრძოლა მოიგეს და ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი გენადი ჩირგაძემ (57კ), ვახტანგ სარაჯიშვილმა (82კ), ზაზა დავაძემ (90კ) და ლევან მუქერიამ (+100კ), რომლებსაც ფინალში ცედენის რააბანჯანის (მონღოლეთი), იური სკრიპალის (უკრაინა), სეიდურ ჰეიდაროვისა (აზერბაიჯანი) და ანატოლი პოიაგას (მოლდოვა) დამარცხება არ გასჭირვებიათ. ზვიად კაპანაძეს (68კ) ვერცხლი, ხოლო გივი ნადარეიშვილს (48კ), გიორგი ტაბატაძეს (62კ) და არჩილ შინჯიკაშვილს (100კ) ბრინჯაო ერგოთ.

ცალკე უნდა აღინიშნოს გოგონების წარმატება. განსაკუთრებით წყნეთელმა ნინო ოძელაშვილმა (72კ) იყოჩაღა. მან ზედიზედ სძლია რუს ზანარა კუზანოვას, ბელარუს ანჟელა მოროზოვას და ოქროს მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს ჯილდოები ხვდათ უმცროსებში ცირა აბულაძეს (48კ), ახალგაზრდებში — დარინა აბულაძესა (48კ) და შორენა შარაძეს (64კ).

**გივი გაგუა**

წყალბურთი

# „კვარტეტის" მეორე სიმაღლე



**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის" აუზში ოთხ დღეს გრძელდებოდა წყალბურთელთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის — ლენ-თროფის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი, რომელშიც ექვსი გუნდი მონაწილეობდა.** თავი გამოიჩინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დედაქალაქის მერიის გაერთიანებულმა გუნდმა „ლიგამუს-თბილისმა", რომელმაც ჯერ ისრაელის ასას მოუგო (18:4), შემდეგ თურქეთის ენკა დაამარცხა (21:3) და გათამაშების მეორე რაუნდში მონაწილეობის უფლება მიიღო, იმის მიუხედავად, რომ მომდევნო სამი შეხვედრა დათმო საფრანგეთის „ოლიმპიკთან" (8:9), უნგრეთის „ჰონვედთან" (7:18) და იტალიის „პოსილიპოსთან" (9:15). ტურნირზე გამორჩეულად ოლიმპიური ჩემპიონის კარლო სილიპოს დამოძღვრილმა „პოსილიპომ" იასპარეზა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და 15 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს სამი ქულით ჩამორჩა ბუდაპეშტის „ჰონვედი", რომლის შემადგენლობაში ორი ოლიმპიური ჩემპიონი თამაშობდა. მესამე ადგილი „ოლიმპიკმა" დაიკავა, მეოთხე — „ლიგამუს-თბილისმა". სწორედ ეს ოთხი გუნდი გავიდა მომდევნო ეტაპზე, რომლის პაექრობები 22-26 ოქტომბერს გაიმართება.

**ლაშა დიდია**

ეროვნული თასი

# წილი ნაყარია



**საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში გაიმართა დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების მერვედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:**

„ბათუმი" — „ზესტაფონი", „გაგრა" — „კოლხეთი", „ლოკომოტივი" — „ოლიმპი", „ცხინვალი" — „სამტრედია", „მერანი" (მარტვილი) — „სიონი", „გაგრა" — „კოლხეთი", „სქური" — „ვიტ ჯორჯია", „ჩიხურა" — „დინამო".

ამ ეტაპის მატჩები 9-10 ნოემბერს გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

ინტერნეტიდან

## სამგზის!



**ბრაზილიის ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრები ზედიზედ მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.**

**იტალიის ათ ქალაქში გამართული ფორუმის ფინალში საერთაშორისო რეიტინგის ლიდერმა 3:0 სძლია კუბას.**

შეგახსენებთ, რომ „ყავის ქვეყნის" გუნდი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია.

საუკეთესო ათეულში დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: სერბეთი, იტალია, რუსეთი, აშშ, ბულგარეთი, გერმანია, არგენტინა, ჩეხეთი.

ტურნირის სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს ფრანგებისა და ესპანელთა კრახი — მათ შესაბამისად მეთერთმეტე და მეთორმეტე ადგილები დაიკავეს.

## ერთხმად!




**პრემიერ-ლიგის თვრამეტივე კლუბის მთავარმა მწვრთნელმა მხარი დაუჭირა ინგლისის კანდიდატურას 2018 წლის „მუნდიალის" სამასპინძლოდ.**

ასეთი აქციის გამართვის ინიციატივით ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონის შეხვედრის წინ „ნისლიანი ალბიონის" საგანაცხადო კომიტეტი გამოვიდა.

თითოეულმა მათგანმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ქვეყნის ბრწყინვალე ინფრასტრუქტურას და მომავალი ფორუმის მნიშვნელობას ფეხბურთის სამშობლოსათვის.

„ვიმედოვნებ, დეკემბერში, როცა ფიფა გადაწყვეტილებას მიიღებს, ჩვენ საზეიმოდ გვექნება საქმე, რადგან უკანასკნელ ათ წელიწადში ინგლისურ ფეხბურთში საუკეთესო ძვრები ხდება" — ამბობს „არსენალის" თავკაცი არსენ ვენგერი.

## ტრუსები... თავზე



**ჩერნოგორიის ნაკრები, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — „ევრო — 2012"-ის „ზ" შესარჩევი ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია — ბალკანელებმა სამივე მატჩი მოიგეს, თუმცა დღეს სერიოზული გამოცდა ელით ინგლისში.**

განსაკუთრებით ორიგინალურად სეზონის აღმოჩენამ უკანასკნელი წარმატება აღნიშნა — შვეიცარიელთა კარში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორმა მირკო ვუჩინიჩმა ამ მოვლენის შემდეგ ტრუსები გაიხადა და თავზე ჩამოიფხატა(!).

ბუნებრივია, ასეთი „სტრიპტიზი" „რომას" ბომბარდირს მსაჯის მიერ ნაჩვენებ ყვითელ ბარათად დაუჯდა.

◉ პროტესტი

# პრემიერ-მინისტრი ჩრდილავს ყველა სხვა უმაღლესი ორგანოს უფლებამოსილებას

(მეორე გვერდიდან)

ბესელიას თქმით, კონსტიტუციური კანონის წარმოდგენილი ვარიანტი არ შეესაბამება საქართველოში მმართველობის სფეროში არსებულ გამოწვევებს. ეს პროექტი ვერ დაიცავს ადამიანის უფლებებს. საგანგაშოა, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის თვალსაზრისით, პარლამენტის როლი უკიდურესად სუსტია, ხოლო მთავრობას, კერძოდ კი პრემიერ-მინისტრს დიდი ძალაუფლება ენიჭება, რომელიც ჩრდილავს ხელისუფლების ყველა სხვა უმაღლესი ორგანოს უფლებამოსილებას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია პრემიერის მიერ ნდობაგამოცხადებული მთავრობის სრული შემადგენლობის შეცვლის უფლებამოსილება, რა დროსაც პარლამენტის როლი უგულებელყოფილია"... დასძინა ბესელიამ.

ბესელიამ მიმართა საპარლამენტო ოპოზიციას და შეახსენა, რომ ცვლილებები ვერ გააძლიერებს სასამართლოს დამოუკიდებლობას. კონსტიტუციის ამ მოდელზე ხმის მიცემით კი ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად ქვეყნის პოლიტიკური მართვის ცუდ მიმართულებას უჭერენ მხარს, რაც საკუთარი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ბესელიას თქმით, ახალი კანონპროექტის გამო პოლიტიკურმა პარტიებმა და საზოგადოებამ ღია პროტესტი უნდა გამოხატონ და არ დაუშვან ამ ცვლილებების მიღება.

**თინათინ ბორცვაძე**



**ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, მარინა ილაშვილი, მადონა მგელაძე, ნათელა ლაღიძე, დალი ბოჯგუა, ბელა მაყაშვილი ღრმა გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე**

**რუსუდან ჯაფარიძე**

**უკეთილშობილესი, სათნო მანდილოსანი, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მამულიშვილური თავდადებით და ღირსებით ილვაწა ხელმძღვანელ სამეურნეო, პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა სამთავრობო თანამდებობებზე ქალაქ რუსთავსა და თბილისში. განსაკუთრებით წარმატებული იყო მისი საქმიანობა საქართველოს შრომის და დასაქმების მინისტრობის დროს, იყო შესანიშნავი ოჯახის დედა-ბურჯი. კოლეგები, მეგობრები, თანამოსაქმენი ვერასდროს დავივიწყებთ სულიერად და გარეგნულად მომხიბლავ რუსუდან ჯაფარიძეს.**

**სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**

**დაკრძალვა 12 X, 15 სთ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 16.**

◉ ინფორმაცია

# იმიტირებული პროცესი სტუდენტთა მონაწილეობით

**იუსტიციის დღესთან დაკავშირებით იუსტიციის სასწავლო ცენტრში სტუდენტების მონაწილეობით ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო გაიმართა.**

იმიტირებული სასამართლო პროცესიის დროს განიხილეს მკვლელობის რეალური საქმე, რომელიც მაქსიმალურად იყო მიახლოებული რეალობასთან. სტუდენტებმა მოირგეს როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარის როლები. გარდა ამისა, მათ როგორც ნაფიცმა მსაჯულებმა მოისმინეს ბრალდებისა და დაცვის მხარის არგუმენტები, გაეცნენ საქმეში არსებულ ფაქტებს, იმსჯელეს და გამოიტანეს შესაბამისი ვერდიქტი.

იმიტირებულ სასამართლო პროცესამდე სტუდენტებმა გაიარეს შესაბამისი ტრეინინგი, ისინი მოემზადნენ როგორც შესავალი და დასკვნითი სიტყვის, ასევე პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის წარმოებაში. პროცესის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები, ხოლო გამარჯვებულ მხარეს - სიმბოლური საჩუქრები.

აღნიშნული ღონისძიების მიზანია სტუდენტებმა მიიღონ მაქსიმალურად ბევრი და რაც მთავარია, დასაბუთებული ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მათ შესაძლებლობა ეძლევათ გამოიმუშაონ და განავითარონ სასამართლოში გამოსვლის უნარ-ჩვევები.

**ХО-ЭОВ-ЭНО**

**განცხადება**

**სს „საქართველოს ბანკის" დირექტორატი აცხადებს, რომ სს „საქართველოს ბანკის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება დაგეგმილია 2010 წლის ნოემბრის დასასრულს ან დეკემბრის დასაწყისში.**

**ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა 2010 წლის 22 ოქტომბერი, 17:00 სთ-ის მდგომარეობით.**

**აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი და რეკომენდაციები, ისევე როგორც კრების ჩატარების ადგილი და ზუსტი დრო გამოქვეყნდება მოგვიანებით, კანონის შესაბამისად რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის ოფიციალურად გამოცხადებასთან ერთად.**

**სს „საქართველოს ბანკის" დირექტორატი**

◉ ჩვენი კარაბადინი

# ამერიკის ბავშვები



**მინდა, რომ ისევ გავხდე ბავშვი, რათა ბავშვობა ამერიკაში გავატარო? ასეთი ფანტასტიკური შესაძლებლობა რომ გამჩენოდა, ვიკითხავდი: „მშობლები, ისინიც ახლები იქნებიან?" და უარს ვიტყვი.**

**იმიტომ, რომ ბავშვის ცხოვრება და მისი წარმატებული გაგრძელება ნებისმიერ ქვეყანაში მშობლებზეა დამოკიდებული.**

## ადვოკატის შვილი

**ამერიკაში ყველაზე ჭკვიანი ბავშვები გაჩენას არ ჩქარობენ. პასუხისმგებელ მშობელთა კლასი მწიფდება გვიან: 35 წლებისთვის. სამაგიეროდ მათი ბავშვები დაბადებიდანვე ღებულობენ ტიტულს – ადვოკატის, დოქტორის, ინჟინრის, არქიტექტორის შვილი... „ტიტული" უზრუნველყოფს გარკვეულ სტილს როგორც ცხოვრებისა, ისე ტანსაცმლისა, დასვენებისა, კვებისა. რაც მეტია ოჯახის შემოსავალი, მით ნაკლებს ჭამს ბავშვი.**

უფროსი ქალიშვილი, როდესაც საზაფხულო პრაქტიკას გადის ჯანმრთელობის დეპარტამენტში, საშუალო შემოსავლის ოჯახების ბავშვებისთვის (სწორედ მათ შორის არის ბევრი მსუქანი) აწყობდა პრეზენტაციებს. ის მათ ასწავლიდა სწორად ჭამას, უფრო ზუსტად, არ ჭამონ ასე ბევრი ცუდი, სანაგვე საჭმელი-ჰამბურგერები, ჩიპსები, კანფეტები, ცხარე ძეხვები შრიალა პაკეტებში... მსუქანი ბავშვები (პედიატრების შეფასებით, ქვეყანაში ისინი 15 მილიონზე მეტიაძ საზოგადოებას აღელვებს არანაკლებად, ვიდრე სქელი მოზრდილები (მათი რიცხვი 60 მილიონზე მეტიაძ. საშუალო კლასის ბავშვები უფრო მსუბუქები არიან, თუმცა მათაც ასევე უყვართ ნაგვის საჭმელი, მაგრამ...ექიმ ენდრიუს ოჯახში, მაგალითად,ხუთი წლის სარა საყვარელ შოკოლადის ნამცხვარს ღებულობს მხოლოდ პარასკევობით, ჩიპსები მათს სამზარეულოში არ არის, კანფეტები საიდუმლო ყუთში ცხოვრობენ. როდესაც მისი უმცროსი და, ორი წლის საშა დამოუკიდებლად მიდის ტუალეტში და არა პამპერსში, ის ღებულობს ჯილდოს: მცირე საჭიროებისთვის – ერთ მრგვალ კანფეტს, დიდისთვის – ოთხს. ჯერჯერობით ხშირად ვერ ახერხებს ის ჯილდოს მიღებას,მაგრამ დათვლა უკვე კარგად შეუძლია.

ენდრიუსების ოჯახი, როგორც საშუალო კლასის ბევრი ოჯახი, მეტად ორგანიზებულია, და არა მხოლოდ ჭამის თვალსაზრისით. ბავშვებს არასოდეს ავიწყდებათ თქვან „გმადლობთ", „ძალიან კარგი", დასაძინებლად წვებიან ზუსტად რვის ნახევარზე და უმალვე თვინიერად ხუჭავენ თვალებს. მათ რომ უყურებ, ამოიოხრავ და იტყვი: „იდეალური ბავშვები არიან".

## წესრიგის მსხვერპლი

**ასეთები ბევრი მინახავს: აკურატულები, მომთმენები, დავარცხნილები. ზოგჯერ ეს ძალიან კარგია, ზოგჯერ – საშიშიც. ბავშვის ფსიქიკა, თურმე, ყოველთვის როდი იტანს იდეალურ წესრიგსა და რეჟიმს. იქნება სწორედ ამიტომაა ასე გავრცელებული ამერიკელ ბავშვებს შორის OCD (ობსესიურ-კომპულსიური სინდრომიძ სინდრომი.** მათთვის წიგნებიც კი უშვებენ ასეთი სახელწოდებებით: „შენც გაქვს ეს?", „ვკოცნი კარის სახელურს", „როდესაც ჩემი აზრები მოსვენებას მოკარგავენ". ნახატებიანი ეს წიგნები მე ვნახე ბიჭ ტომთან იდეალური სახლიდან. შვიდი წლის ტომი ყოველთვის ალაგებდა თამაშის შემდეგ თავის სათამაშოებს, აწყობდა თავის ადგილზე, არ ითხვრიდა ტანსაცმელს. და ერთხელ ავად გახდა. მოიფიქრა თავისთვის რამდენიმე „სწორი" რიტუალი: ყოველთვის იბანდა ხელს მას შემდეგ, რაც ჩართავდა ან გამორ-



თავდა შუქს,იცვამდა წინდას ჯერ მარჯვენა ფეხზე, შემდეგ მარცხენაზე, ცდილობდა აუცილებლად დაეძინა სახით კედლისკენ. ექიმმა, ვისთანაც ის დადიოდა, მშობლებს აუხსნა, რომ ბავშვის ფსიქიკა მეტად მყიფეა, და ბევრმა მოთხოვნამ და წესებმა შეიძლება ის დააზიანოს. დედა არ ეთანხმებოდა, რომ მის ბავშვობაშიც ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით იყო და კითხულობდა: „წესრიგი განა შეიძლება ბევრი იყოს?" თურმე, შეიძლება. გამოხვიდე განრიგიდან და ჩავარდე ტლაპოში – ესეც ხელოვნებაა, რომელსაც ბევრი ამერიკული მოწესრიგებული ოჯახი უბრალოდ ვერ ასწავლის თავის ბავშვებს. მათ არ აქვთ ჯანსაღი უწესრიგობა კულტურაში!

## მოუხერხებელთა მოთვინიერება

**სამაგიეროდ არის ბევრი სხვა რამ. მაგალითად, მოვლენა, რომელსაც სიყვარულით ვადევნებ ყოველთვის თვალს. მას ჰქვია – „მამიკოები".**

**მამები ბავშვებთან ყოველთვის არიან: აუზში, ველოსიპედთან, კარავში, სათევზაოდ, მშობელთა კრებაზე და სახლში. სკოლაში მასწავლებლები ჩემზე ფიქრობენ, რომ მე მარტოხელა დედა ვარ: იმიტომ, რომ ჩემი შვილების მამა მათ არასოდეს უნახავთ, ჩვენს ოჯახში ასეა განაწილებული მოვალეობანი.**

ჯონ მაკლინის გზამკვლევში რუსეთზე ნებისმიერ ამერიკელს შეუძლია წაიკითხოს: „რუსეთში ვერ ნახავთ მამაკაცს, საბავშვო ეტლს რომ დაასეირნებდეს". ჩემი აზრით, ეს მტკიცება უდავო არაა, მაგრამ ერთი რამ ზუსტია: ამერიკაში მამაკაცები ასეირნებენ ბავშვებს ეტლებით და ხელმოკიდებული დაჰყავთ ისინი უფრო ხშირად. ამიტომ მამიკოს შვილიკოები გვხვდებიან ისევე ხშირად, როგორც დედიკოსი...

არის ამერიკელ და რუს მშობლებს შორის სხვა განსხვავებაც (და ამ მხრივ ქართველ მშობლებსაც შორის – **რედ**ძ. „ბავშვები უნდა გავანებივროთ!" – როდესაც ამ ლოზუნგს ვაქებ ხოლმე, ჩემი მეზობლები იცინიან. პასუხად მთავაზობენ თავიანთ, მათი აზრით იდეალურ, ფორმულას: „ბავშვები სახლში უნდა ჩანდნენ, მაგრამ ხმა არ ისმოდეს!"

ქცევა – ეს ისეთივე ხასიათისაა, როგორც თმის ფერი. თუ არ არის კარგი, მოუხერხებელია სხვებისთვის,ის უნდა შეცვალო. ჩემი ბიჭი ამერიკული სკოლის პირველ კლასშია, მან ინგლისური არ იცოდა,შიშისგან ხშირად ტუალეტში იმალებოდა, მერხის მეზობელთან „საერთო ენა" რომ გამოენახა, იწყებდა ჩხუბს ფანქრებით. არ იყო გასაკვირი, რომ სკოლის ფსიქოლოგმა ჩემთან მოინდომა გასაუბრება. მან მაგიდაზე შემოაწყო ფეხები და გულღიად მაცნობა, თუ როგორ აძლევდა თავის შვილს ქცევის კორექტორს – პრეპარატ რიტალინს და შემეკითხა: „იქნებ თქვენს ბიჭსაც გაესინჯა?" როდესაც უარი ვუთხარი, გაოცებით შემომხედა.

ამერიკელი მშობლები მეტი ნდობით ეკიდებიან წამლებს და მზად არიან მოახდინონ ქცევის კორექტირება, დაამშვიდონ აქტიური და „მოუხერხებელი" ბავშვები აბების დახმარებით. ან გამოიყენონ სხვაგვარი დისციპლინა. ამიტომ ბევრი, „რბილი" მშობ-

**რაც ნაკლები აქვს ოჯახს შემოსავალი, მათი ბავშვები მით უფრო სუქდებიან**

ლებიც კი, ეძებენ შესაძლებლობას მიაბარონ ბავშვები „მკაცრ" სკოლებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ძველებურად პრესტიჟულია და ძვირი კათოლიკური სკოლები და სამხედრო პანსიონები ბიჭებისთვის,სადაც „სიმკაცრისა და წესრიგის" წლიური კურსი დაახლოებით 14 ათასი დოლარი ღირს.

## მე ცუდი ვარ?

**რა აკლიათ ამერიკელ ბავშვებს? მათაც კი, ვისაც როგორც ალექსს, ყველაფერი აქვს? მე ისინი გავიცანი საბავშვო ბანაკში. მის შესახებ ცნობილი იყო, რომ ის გავლენიანი, მდიდარი და არისტოკრატიული ოჯახიდან იყო. აგრეთვე, რომ ის მშობლებს იშვიათად ხვდება,სწავლობდა ძალიან კარგ დახურულ სკოლა-პანსიონებში, არდადეგებს ატარებდა მამიდასთან და სხვა ნათესავებთან.** 18 წლისაც კი ალექსი რაღაცით ისევ ბავშვი იყო: ვერ იტანდა მეგობრულ მოხვევას,ყურადღებას, ქებას, ვერც „ღამე მშვიდობისას". მთხოვდა მომესმინა,თუ რა აზრები ჩაიწერა თავის დღიურში და მეკითხებოდა: „ძალიან ცუდი ვარ, ხომ?" ვარწმუნებდი, რომ ის არის განსაკუთრებული და კარგი. მას არ სჯეროდა, კიდევ რამდენჯერმე გამიმეორა შეკითხვა.

ალექსს არ შეეძლო კარტოფილის გაწმენდა, არ იცოდა, როგორ ირთვებოდა სარეცხი მანქანა, მერყეობის გამო არ შეეძლო ბოლომდე მიეყვანა რაიმე წამოწყებული საქმე. ერთხელ ჩვენ ერთად ვრეცხავდით ჭურჭელს, ის, ეტყობოდა, ამას პირველად აკეთებდა. მას მოსწონდა თეფშების გაკრიალება, მათი ერთმანეთზე დაწყობა და საქმის დროს ლაქლაქი. მას რომ ვუყურებდი, ვფიქრობდი, რომ ბავშვებს მართლაც ბევრი არ უნდათ... მათ სჭირდებათ ჩვენი ყურადღება და ჩვენი სიყვარული.

**ვერონიკა მირონოვა, ამერიკიდან**

## ყველაზე მომგებიანი

# მაინც „შინაური“ მეწველი ძროხაა

ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ რუსეთული გაზის მონოპოლისტი კომპანია „გაზპრომი“ შარშან მიღებული შემოსავლის მხრივ მსოფლიოში პირველ ნომრად დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბაზარზე გაზის ფასი იზრდება, „გაზპრომის“ 25-მილიარდდოლარიან შემოსავალში ეს მაინც არ არის მთავარი. მიღებული სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს „გაზპრომი“ სასარგებლო ნამარხთა მოპოვებაზე სახელმწიფოს მიერ მისთვის მიცემული შეღავათების წყალობით იღებს. მაგრამ ძირითადი ნაწილი მაინც ქვეყნის შიგნით გაზის ტარიფის ზრდაზე მოდის: შარშან რუსეთში გაზი 27 პროცენტით გაძვირდა.




აღსანიშნავია, რომ, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, რუსეთის მოსახლეობა და საწარმოები, მსოფლიოში სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მეტ გაზს მოიხმარენ. მიუხედავად ამისა, მოსახლეობისთვის მოხმარებული გაზის ღირებულება წლეულს 15 პროცენტით კიდევ გაძვირდება, რაც იმითაა განპირობებული, რომ „გაზპრომს“ გარე ვალდებულებათა დაფარვა და ინფრასტრუქტურის განვითარება მოუწევს.

## ინფორმაცია

# ქართველი მეზღვაურები კვლავ ტყვეობაში რჩებიან

სომალელი მეკობრეების მიერ დაკავებული ქართველი მეზღვაურების გათავისუფლებასთან დაკავშირებით შედეგი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა.

— ქართველი მეზღვაურების გათავისუფლებასთან დაკავშირებით სამუშაო პროცესი გრძელდება, მათ შორის იმ ქვეყნების წარმომადგენლებთან საქართველოში, რომელთა მეზღვაურები იმყოფებიან ტყვეობაში, — განაცხადა კალანდაძემ.

მისივე თქმით, ქართული მხარე ცდილობს იმ ქვეყნების გამოცდილება გაითვალისწინოს, რომელთა მოქალაქეების სომალელი მეკობრეების მიერ იყვნენ დაკავებულები და წარმატებით გაანთავისუფლეს.

ჯი-ეიჩ-ენი

## შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.

## ვაზუსტებთ

# როგორ დავიცვათ თავი გრიპის ეპიდემიისგან

ჩვენი გაზეთის 7 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა საუბარი მოსკოვის ჯანდაცვის საბითუმო ფასების სააფთიაქო ქსელის ხელმძღვანელთან თემურ შაკაიასთან.

საუბარში ლაპარაკია პრეპარატ „იოდნიკზე“, „ზვიგენის ზეთზე“ და „კარდიოლაზე“. უკეთუ ეს პრეპარატები საქართველოს, კერძოდ, თბილისში ვერ იშოვეთ, დარეკეთ მოსკოვში (495)744-72-95, (499) 142-04-31, (495) 504-67-18.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8064 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4585 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8545 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9415 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9852 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2504 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2827 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2412 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7014 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +13 — +17 |
| ქუთაისი. | +14 — +20 |
| ბათუმი. | +11 — +14 |
| ზუგდიდი. | +12 — +15 |
| თელავი. | +12 — +15 |

## დღის კალენდარი — 12 ოქტომბერი

ხსენება ღირსისა ონოფრე (ონისი ფორეძ გარეჯელისა, სასწაულმოქმედისა (1786ძ; ღირსისა კვირიაკოზ განშორებულისა (556ძ; მოწამეთა: დადასი, სპარსთა მეფის შაბურის ძისა, გავედაისი და დისა მისისა კაზდოიასი (IVძ; ღირსისა თეოფანე მოწყალისა.



ამოდის 06.09
ჩადის 17.25



ამოდის 11.27
ჩადის 20.35

### დაიბადნენ:

1537 — **ედუარდ VI,** ინგლისის მეფე, ტიუდორთა დინასტიის წარმომადგენელი.
1798 — **პედრუ I,** ბრაზილიის იმპერატორი.
1896 — **ეუჯენიო მონტალე,** იტალიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
1906 — **გიორგი ხუნდაძე,** ცნობილი ქართველი ქირურგი.
1923 — **ნოდარ ყიფშიძე,** ექიმი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.
1935 — **ლუჩანო პავაროტი,** გამოჩენილი იტალიელი ოპერის მომღერალი. გარდაიცვალა 2008 წელს.

### გარდაიცვალნენ:

1896 — **ნიკოლოზ დადიანი,** ქართველი მწერალი, მთარგმნელი.

### მოვლენები:

**1492 წელი** — ქრისტოფერ კოლუმბი მიადგა ბაჰამის კუნძულებს, რომელიც მას აზია ეგონა.
**1860 წელი** — ბრიტანეთის და საფრანგეთის ჯარებმა დაიპყრეს პეკინი.
**1931 წელი** — ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია კალენდრის რეფორმის შესახებ.
**1960 წელი** — ნიკიტა ხრუშჩოვმა ფეხსაცმელი გაიხადა და მაგიდაზე აბრახუნა იუნესკოს გენერალური ასამბლეის სხდომაზე.
**1968 წელი** — გვინეამ დამოუკიდებლობა მიიღო.
**1968 წელი** — ნორმა ენრიკო ბაზილიო სატელო პირველი ქალია, რომელმაც ოლიმპიური ჩირაღდანი აანთო.
**1972 წელი** — „მარინერ-9“-მ მარსის ჩრდილოეთ პოლუსის სურათები გადაიღო.
**1984 წელი** — I.R.A.-მ სასტუმროში ბომბი ააფეთქა, სადაც მარგარეტ ტეტჩერი იმყოფებოდა. აფეთქებამ ხუთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.
**1988 წელი** — ისრაელმა და ჩინეთმა სავაჭრო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი და დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს.

მედიანიუსი

## იყიდება სასწრაფოდ!

### ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ

საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე, გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

### აგარაკი ტაბახმელაში

ულტრათანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 16 93 57.

## კადრი



## ანეკდოტები

არჩევნებისას ხალხი იმას რომ აძლევდეს ხმას, თუ რომელი დეპუტატია დასაპატიმრებელი, ურნებთან ალბათ ამომრჩეველთა თითქმის ასი პროცენტი მივიდოდა.

* * *

ცოლი ქმარს მობილურით ურეკავს:
— პეტკა, სადა ხარ?
— ვნადირობ.
— ვინ არის მანდ ასე ხმამაღლა რომ სუნთქავს?
— დათვია.
— რატომ კვნესის?
— დავიჭერი და იმიტომ.
— ქალის ხმით რად კვნესის?
— თავი დამანებე, რა! მე მონადირე ვარ და არა ვეტერინარი!



* * *

— აგიწონოთ?
— თუ შეიძლება.
— ზუსტად ოთხი კილოა.
— გმადლობთ, თან შემიხვიეთ, გეთაყვა!
— შეგიკრათ კიდეც?
— კარგი იქნება.
— რაღაც ცუდად დგახართ!
— არა უშავს, დავიჭერ!
— ასე დაიჭირეთ. უფრო მაგრად! ნუ გეშინიათ. გილოცავთ, მამიკო, შესანიშნავი მემკვიდრე შეგეძინათ!

* * *

რატომ საუბრობენ ექიმები პაციენტის თანდასწრებით ლათინურად?
— მერე რა, დაე ავადმყოფი მიეჩვიოს მკვდარ ენას...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.